ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 27 აპრილი, 2020 №93 (8357) ფასი: 60 თეთრი

## ვინ ბლოკავს უკრაინაში სააკაშვილის დანიშვნას?!



გვ.2

## ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნებამ“, შესაძლოა, არჩევნები გრიალით მოიგოს, მაგრამ მას მშიერი ხალხის რევოლუცია წალეკავს“



გვ.3

„თუ სააკაშვილი უკრაინის ვიცეპრემიერი გახდა, „ოცნებას“ საერთაშორისო ასპარეზზე გამოუთხრის ძირს და გამოაცლის საფუძველს, არჩევნებზე მისგან საფრთხობელა შექმნას“



## „ამხელა შეზღუდვებს გვიწესებენ იმის გამო, რაც არ არსებობს“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „კორონავირუსს სეზონურ გრიპზე უფრო დაბალი სიკვდილიანობა და გავრცელების არეალი აქვს“



## „ოპოზიციის გამიჯვნა პოლიტიკისგან სწორი არ არის“



გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „რაც თავი მახსოვს, ვერც ერთი ხელისუფალი ვერ გრძნობს ქვეყანაში, როგორ მწიფდებოდა უარყოფითი მუხტი“



გვ.3

## შოთა მალაშხია: „ხელისუფლება მაროდიორობს“

„ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის მომსახურების ბიურო“



გვ.4

### ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთიდან დახმარების მიღების იმედი დაკარგეს

### პოლიცია თეთრიწყაროს რაიონულ ცენტრში მკაცრი საკარანტინო რეჟიმის აღსრულებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს

გვ.5




### შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 132 ფაქტი გამოავლინა



გვ.5

ISSN 1987-9385

2 როგორ უნდა დაამტკიცოთ, რომ შემოსავალი ნამდვილად დაკარგეთ

6 საუდის არაბეთში გაროზგვა გაუქმდა

5 ბათუმში ბულგარეთის 2 მოქალაქე დააკავეს

მათ ბრალად სომხეთიდან საქართველოში 40 კგ ჰეროინის შემოტანა ედებათ

6 კონტე: „იტალია ბიზნესის ამუშავებას 4 მაისიდან დაიწყებს, სკოლები სექტემბრიდან გაიხსნება“

# „ამხელა შეზღუდვებს გვიწესებენ იმის გამო, რაც არ არსებობს“

## ლადო სადღობელაშვილი: „კორონავირუსს სეზონურ გრიპზე უფრო დაბალი სიკვდილიანობა და გავრცელების არეალი აქვს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**



***– ლადო, პრემიერმა ეკონომიკური პაკეტი წარადგინა. ოპოზიციისა და საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან ამ გეგმას სერიოზული კრიტიკა მოჰყვა. რამდენად გამართული პროგრამა წარმოადგინა გახარიამ?***

– როდესაც სახელმწიფო ადამიანებს შეზღუდვებს უწესებს და გადაადგილებას უკრძალავს დაახლოებით მარტის დასაწყისიდან, პრაქტიკულად, გამოვიდა ისე, რომ ორი თვის თავზე გვეუბნება სახელმწიფო, ჩვენ თქვენ დაგეხმარებით, მაგრამ ამ დახმარებას მოგცემთ კიდევ ერთ თვეშიო, ანუ სამი თვის თავზე თუ მოხდა ამა თუ იმ ადამიანების დახმარება, მოხდება მხოლოდ მაშინ, რაც საგადასახადო მთელ რიგ პროცედურებს ჩაატარებს, აღრიცხავს უმუშევრად დარჩენილებს და ასე შემდეგ.

***– ანუ მაისშიც შესაძლოა ვერ მოხერხდეს დახმარებების გაცემა?***

– სანამ ეს ხალხი აღირიცხება, ყველაზე ადრე, მაისის ბოლომდე არაფერი იქნება. ჩვენ თუ ვსაუბრობთ ხელისუფლების ეფექტიანობაზე, მაშინ ძალიან უარყოფითად შევაფასებდი ხელისუფლების ეფექტიანობას. ეს ყველაფერი უკვე დაგვიანებული და დროში გაწელილია, უბრალოდ გაწელილი კი არა – ძალიან გაწელილი. ფინანსთა მინისტრმა ამერიკის მაგალითი მოიყვანა და ამერიკას შეედარა. იქ ძალიან სწრაფად მოხდა ერთჯერადად 1.200 დოლარის ჩარიცხვა.

***– 1.200 დოლარი და 200 ლარი ერთია? სასაცილოა ამ თანხების ერთმანეთთან შედარება.***

– ზუსტად, თუმცა ეს კიდევ ცალკე თემაა. იქ წარმოება ერთი თვით დაიკეტა და იმ ერთი თვის ფული მისცეს. იქ მათი მუშაობის ზარალი ერთ თვეში შეფასდა 1.200 დოლარად და შენ გეუბნებიან, რომ 6 თვეში შეგიფასდება 1200 ლარად. ცინიზმია, როდესაც მინისტრი პარალელს ამერიკასთან ავლებს.

***– დასცინიან მოსახლეობას?***

– რა თქმა უნდა, ეს არის დაცინვა და მეტი არაფერი, თან რას გვეუბნებიან, ჩვენ მაისამდე კომუნალურებს გიხდით და, 200-ლარიან დახმარებას რომ მოგცემთ, იმით საკვებიც უნდა იყიდოთ და კომუნალურებიც გადაიხადოთო. მაშინ კომუნალურებიც გაეგრძელებინათ ექვსი თვით. კი, კარგია, რომ პენსიონერები გაითვალისწინეს და სოციალურად დაუცველებიც, მაგრამ, ვინც სამსახური დაკარგა, ეს იმათთვის არანაირი შვება არ არის.

ხელისუფლებას ამ პროგრამაში გამორჩა მარტოხელა დედები, ასევე – ერთი სერიოზული საკითხი.

***– კერძოდ?***

– ადამიანები, რომლებიც დაუსაქმებლები იყვნენ და არანაირი შემოსავალი არ ჰქონდათ. ასეთ ადამიანებს სახელმწიფომ მარტიდან აუკრძალა სახლიდან გასვლა და სამსახურის მოძიება. ასევე მთელი ექვსი თვით სახელმწიფო მიკრძალავს სამსახურის მოძიების პერსპექტივას. ამ კატეგორიის ადამიანებმა რა უნდა ქნან?! არც სამსახური აქვთ და არც არავინ დაეხმარება. ისედაც უმუშევარი ადამიანები ხელისუფლებამ, პრაქტიკულად, გაწირა.

***– ისინი ვერანაირ სიაში ვერ მოხვდებიან?***

– დიახ, ასეა. მე დაუსაქმებელი ვიყავი, ვალებში ვცხოვრობდი და, კაცმა არ იცის, კიდევ რამდენი ხანი მომიწევს ამ მდგომარეობაში ყოფნა. 6 თვის მერე, სახელმწიფო რომ ამუშავდება, ასე ადვილად გამოჩნდება სამუშაო ადგილები? ეს ხომ ზღაპარია.

***– საუბარია იმაზეც, რომ გახარიამ ამ პროგრამის პრეზენტაციით აქტიურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. ასეა?***

– დიახ, ასეა. ხელისუფლებას სწორედ ახლა აწყობს არჩევნების ჩატარება და არ აწყობს ოპოზიციას.

***– კორონავირუსის ასე გაწელვის პროცესი ხელს აძლევს ხელისუფლებას და სწორედ ამიტომ დაყვეს ეტაპებად და გაწელეს ამხელა დროზეო.***

– რა თქმა უნდა, ასეა. ეს დაყოფა ეტაპებად რაღაც მოდური და ტრენდულია, ევროპის გამოცდილებიდან გამომდინარე, მაგრამ იქ, სადაც ასეთ დაყოფას იყენებენ, კატასტროფული მდგომარეობაა. ჩვენთან კი ეს ყველაფერი პრევენციისთვის ხდება, რომ დავიცვათ თავი მოსალოდნელი საფრთხისაგან.

წარმოგიდგენიათ, რა ხდება? ამხელა შეზღუდვებს გვიწესებენ იმის გამო, რაც არ არსებობს და არც ვიცით, ეს საფრთხე დაგვემუქრება თუ არა. ამ მიდგომებით სახელმწიფოს ანგრევენ მიზანმიმართულად. თუ მანამდე ცდილობდი, 50 ლარად გეყიდა ამ ხალხის ხმა, ახლა ისე დააბეჩავე, რომ 10 ლარადაც იყიდი. ეს ყველაფერი კი ხდება სახელმწიფოს ჩამოშლის ხარჯზე. გაჩერებულია ბიზნესი. ბიზნესის ამდენი ხნით გაჩერება კი არ შეიძლება. ზესახელმწიფოა ამერიკა და ერთ თვეზე მეტ ხანს ვერ შეიკავეს თავი. წარმოდგენაც არ მინდა, ჩვენთან რა მოხდება.

***– ხელისუფლება მაქსიმალურად გაწელავს და ამ პერიოდს სათავისოდ გამოიყენებს? დაავადებულთა რიცხვის ზრდაც ამას ხომ არ უკავშირდება?***

– რა თქმა უნდა. მე ამაზე მარტიდან ვსაუბრობდი. ეს ყველაფერი გაკეთებული იყო იმისთვის, რომ შეგნებულად მისულიყო ეს პროცესი სექტემბრამდე. მთელი ამ 6 თვის განმავლობაში ოპოზიცია არის ორმოში, ქუჩაში ვერ გამოდის, ვერ ახურებს პოლიტიკურ სიტუაციას. 2006 წლიდან მაქვს პატარ-პატარა აქციების მოწყობისა და შემდეგ ამ ყველაფრის დიდ აქციაში გადაზრდის გამოცდილება. ძალიან კარგად ვიცი, როგორ უნდა სიტუაციის ესკალაცია.

***– ოპოზიცია განეიტრალებული ჰყავთ?***

– მაგის თქმა მინდა ზუსტად, რომ ესენი ახლა განეიტრალებულები არიან, გამოკეტილები არიან სახლებში, ვერ აკეთებენ ვერაფერს. პარლამენტიც უფუნქციოა. საპარლამენტო ტრიბუნაც დახურულია საპარლამენტო ოპოზიციისთვის. აკრძალვების მოხსნის შემდეგ საზაფხულო არდადეგები ემთხვევა, საერთოდ აღარ მივლენ პარლამენტში და რა გამოდის?!

***– შემოდგომაზე პირდაპირ არჩევნების წინაშე აღმოჩნდებიან?***

– ასე იქნება. დღეს ხელისუფლება თამაშობს ერთ კარში, ურტყამს მხოლოდ საწინააღმდეგო მიმართულებით. ეს 6-წლიანი პატიმრობაც, რომელიც ასე ხმაურიანად შემოილო მმართველმა გუნდმა, სწორედ ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია, ისე ხარ შეშინებული, რომ ვერ გაბედო ქუჩაში გამოსვლა და პროტესტი. ვის უნდა აუტკივარი თავის ატკივება ასეთ მძიმე პირობებში. ამიტომ ოპოზიციას ძალიან გაუჭირდება ქუჩაში ხალხის გამოყვანა.

***– საგანგებო სიტუაცია საკუთარ თავზე მოირგეს და საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს მოარგეს?***

– აი, ზუსტად! რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხდება ბიუჯეტის ხარჯზე, მაშინ, როდესაც უნდა დახარჯულიყო თუნდაც შავი ფული იმისთვის, რომ ეს არჩევნები მოეგო ამა თუ იმ პარტიას, კერძოდ, სამთავრობოს.

ის ამ ყველაფერს ახერხებს ბიუჯეტის ხარჯზე. როდესაც დახმარებებზე ვსაუბრობთ, აქ საუბარი იყო 3 მილიარდ ევროზე, საერთაშორისო დახმარებას ვგულისხმობ. ეს თანხა 10 მილიარდი ლარია. 10 მილიარდი ლარიდან მხოლოდ 2 მილიარდამდე ლარს რომ ხარჯავ, დანარჩენი სად მიგაქვს?!

კი, ბიზნესსაც უჭირს, მაგრამ ყველაზე ცუდ დღეში ის ადამიანები არიან, რომლებმაც სამსახური დაკარგეს, ასევე ისინი, ვისაც არც მაშინ ჰქონდა სამსახური და ამის პერსპექტივა მინიმუმ ერთი წლით ესპობათ. ამ ხალხმა რა ქნას?! ამ 2 მილიარდიდანაც მხოლოდ ნაწილი ხმარდება მოსახლეობას, 1 მილიარდიც კი არა! დანარჩენი სხვა პროგრამებისთვის არის გათვალისწინებული. ეს ძალიან დიდი შეცდომაა!

***– ხელისუფლება კორონავირუსის მონაცემებს მალავს და მარინა ეზუგბაიას წამოცდენაც სწორედ ამას მოწმობსო, აცხადებენ ოპოზიციონერი ლიდერები. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?***

– ერთი კვირის წინ ჩემი სოციალური გვერდი ავაფეთქე იმ მონაცემებით, რომლებიც ოფიციალურად იდებოდა, რომ თურმე საქართველოში ჩატარებული იყო 5.000 საერთო რაოდენობის ტესტი და აქედან მხოლოდ 1.200 იყო ინდივიდუალური, ანუ 5 ათას კაცს ჩაუტარდა ჯამში, ზოგს ორჯერ, ზოგს სამჯერ და ამიტომ მიიღეს 5.000 რაოდენობა ტესტების. წარმოგიდგენიათ, 3,5 მილიონი ადამიანიდან მხოლოდ 1.200 ადამიანს ჰქონდა ტესტი ჩატარებული. თავიდან, ალბათ, პანიკის ასაცილებლად, იმ მიზეზით, რომ ეს პანიკა არ გადატვირთულიყო ჯანდაცვაზე, არ ჩაატარეს ტესტირებები და მალავდნენ პასუხებს. მათ სურდათ, ინფიცირებულების რაოდენობა არ ყოფილიყო ბევრი და არ გადავსებულიყო საავადმყოფოები დაინფიცირებულებით. ამიტომ იკავებდნენ თავს მასობრივი ტესტირებისგან.

***– ახლა რა შეიცვალა?***

– ახლა შეიცვალა ის, რომ ეს 6 თვე რამენაირად უნდა გამართლდეს. ეს 6 თვე რომ გამართლდეს, ამისთვის საჭიროა, დაინფიცირებულთა რაოდენობა გაიზარდოს. ამ რიცხვს გაზრდიან დაახლოებით 1.500 კაცამდე, მერე ნელ-ნელა წამოვლენ ქვევით და ეს დროც გავა. აი, რა არის მათი გეგმა.

მე მინდა, საზოგადოებას გავახსენო ჩვენი ჯანდაცვის მინისტრის არაკომპეტენტური განცხადებები, როდესაც ის ამბობდა, 2.000 სასუნთქი აპარატი გვაქვსო. ახლა გავიგეთ, რომ თურმე 400 გვქონია.

ჯანდაცვის მინისტრი ინფორმირებული არ არის, რა ხდება ქვეყანაში. წარმოგიდგენიათ, რა უსუსურია ჩვენი ჯანდაცვის სისტემა, მაშინ, როდესაც ბიუჯეტიდან ერთ-ერთ ყველაზე დიდ დაფინანსებას იღებს. სად მიდის ამხელა ფული?!

იპოვეს გარღვევა, თუ საიდან შეიძლება ფულის ჭამა და დაასხდნენ წურბელებივით. ამხელა თანხებს ვიხდით ჯანდაცვაში და სახელმწიფოს ჯანდაცვა არ არის მზად იმისთვის, რომ გაუმკლავდეს, პრაქტიკულად, ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას, სეზონური ვირუსის მახასიათებელ კორონავირუსს. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ კორონავირუსს სეზონურ გრიპზე უფრო დაბალი სიკვდილიანობა და გავრცელების არეალი აქვს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს ყველაფერი მიზანმიმართულად გაკეთდა და ამის აჟიტირება მოხდა.

# ვინ ბლოკავს უკრაინაში სააკაშვილის დანიშვნას?!

გასულ კვირაში მიხეილ სააკაშვილი მმართველი პარტიის „ხალხის მსახურის“ ფრაქციის წარმომადგენლებს შეხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვიცეპრემიერის პოსტზე (ეკონომიკური რეფორმების დარგში) მის დანიშვნას მხარდაჭერა თავად პრეზიდენტმა ზელენსკიმ გამოუცხადა, ფრაქცია ამას არაერთგვაროვნად შეხვდა. როგორც ფრაქციის ხელმძღვანელმა არახამიამ განაცხადა, რადაში სააკაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით კენჭისყრა გადაიდო. მიზეზი მარტივია: საკმარისი ხმები ვერ მოიძებნა.

თავად სააკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მალე სხვა სადეპუტატო ფრაქციებსაც შეხვდება.

უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა განაცხადა, რომ დღეს უკრაინაში კლანურ-ოლიგარქიული სისტემის საბოლოო დემონტაჟი მიმდინარეობს. უკრაინასაც სჭირდება ისეთი ადამიანი, როგორიც სააკაშვილია. ის, მართალია, ძალზე ემოციურია, მაგრამ, იმავდროულად, სწრაფია, ენერგიული, თან გადამჭრელი მოქმედების უნარი აქვს.

ოფიციალურად სააკაშვილის ფუნქცია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თუ სხვა მსგავს სტრუქტურებთან ურთიერთობები და ფინანსების მოზიდვა იქნება. სინამდვილეში სააკაშვილმა კლანურ-ოლიგარქიული სისტემის საბოლოო დემონტაჟი უნდა მოახდინოს, ანუ დაამთავროს ის დიდი საქმე, რომელიც ნარინჯისფერი, შემდეგ კი ღირსების რევოლუციების დროს დაიწყო.

ამ ეტაპზე სააკაშვილს მოუწევს დაპირისპირება როგორც ოლიგარქ კოლომოისკისთან, ასევე რენატ ახმეტოვთანაც. განსაკუთრებით მწვავე ბატალიები კოლომოისკისთან ექნება.

– დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზელენსკი-კოლომოისკის შორის დიდი ომი დაიწყო! ამ ომში მიხეილ სააკაშვილი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, – განაცხადა იური ბუტუსოვმა.



კოლომოისკის გავლენა მმართველი პარტიის ნაწილზე ძლიერია. ექსპერტებიც ვარაუდობენ, რომ სწორედ კოლომოისკის მიერ მოსყიდულმა დეპუტატებმა დაბლოკეს სააკაშვილის დანიშვნა.

მეორე ძალა, რომელიც სააკაშვილს წინ აღუდგა, პუტინის რუსეთია. იქ საქართველოს ექსპრეზიდენტს სამხედრო დამნაშავედ თვლიან, თუმცა სინამდვილეში ომი არა მან, არამედ ვლადიმერ პუტინმა გააჩაღა. ზელენსკისაც პირდაპირ განუცხადეს: თუ სააკაშვილს ეკონომიკას ჩააბარებთ, რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობების დათბობაზე ოცნებას უნდა გამოემშვიდობოთო.

ზელენსკიმ ამას ყურადღება არ მიაქცია.

რაც შეეხება საქართველოს პრემიერ გახარიას შენიშვნას უკრაინასთან ურთიერთობების შესაძლო გართულების შესახებ, მას პასუხი მმართველი პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელმა არახამიამ გასცა:

– არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, თანამდებობაზე ვინმეს დანიშვნა აგვიკრძალოს!

მოხერხდება თუ არა სააკაშვილის უკრაინის ვიცეპრემიერად დანიშვნა?

უდავოა ერთი – სააკაშვილს წინ დიდი ბრძოლები მოელის.

ნიკა თევზაძე

# როგორ უნდა დაამტკიცოთ, რომ შემოსავალი ნამდვილად დაკარგეთ

საქართველოს მთავრობა სახლში უსამსახუროდ დარჩენილ მოქალაქეებს დახმარებას მაისიდან ჩაურიცხავს.

პროცესი დაახლოებით 1 კვირაში დაიწყება. უმუშევრობის პერიოდის ათვლა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დღიდან მოხდება. 200 ლარი 6 თვის განმავლობაში – ერთჯერად, 300– ლარიან დახმარებას მიიღებენ თვითდასაქმებულებიც.

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ თვითდასაქმებული ხართ, უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია ამის დასადასტურებლად. ასევე, მას მოუწევს წარადგინოს ცნობა იმ სამსახურის, სადაც ის კორონავირუსამდე დასაქმებული იყო, ამასთან, აუცილებელია ასეთი პირის პირადი მონაცემები, მათ შორის საბანკო ამონაწერი.

ის, თუ დამატებით რა დოკუმენტაციის წარდგენა მოუწევთ ასეთ პირებს, კონკრეტულად ერთ კვირაში გახდება ცნობილი. მანამდე კი აღსანიშნავია, რომ შეიქმნა სპეციალური ონლაინპლატფორმა, სადაც პირს საკუთარი მონაცემების ატვირთვა შეეძლება.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც აქამდე დასაქმებულები იყვნენ, მათ დოკუმენტაციის წარდგენა არ მოუწევთ, ვინაიდან ამ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ყოველთვიურად იღებს დამსაქმებლებისგან.

„დასაქმებულების შემთხვევაში არანაირი საბუთების წარდგენა არ არის საჭირო, ვინაიდან შემოსავლების სამსახური ყოველთვიურად იღებს ინფორმაციას დამსაქმებლებისგან. მაგალითად, რამდენი თანამშრომელია დასაქმებული, ვინ არის გათავისუფლებული და ვინ არის გაშვებული უხელფასო შვებულებაში.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასაქმების სააგენტო მოახდენს რეაგირებას და შესაბამის დახმარებას გაუწევს თითოეულ უმუშევრად დარჩენილ ადამიანს.

რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, რომელიც რთული, თუმცა მასშტაბური პირთა წრეა, შეიქმნება ონლაინპორტალი, სადაც შესაძლებელი იქნება დარეგისტრირება პერსონალური მონაცემების მითითებით და იმ შემთხვევაში, თუკი ნებისმიერი ტიპის დამადასტურებელი საბუთი იქნება წარდგენილი, რომელიც მათ არსებულ შემოსავალს დაადასტურებს კორონავირუსამდე. თუკი ამ დოკუმენტებს ატვირთავენ ან წარადგენენ სოციალური სოციალური სააგენტოსა და დასაქმების სააგენტოს ოფისებში, მათ ექნებათ საშუალება, წარმოდგენილი განაცხადი განვიხილოთ“, – აცხადებს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საპარლამენტო მდივანი თამილა ბარკალაია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნებამ“, შესაძლოა, არჩევნები გრიალით მოიგოს, მაგრამ მას მშიერი ხალხის რევოლუცია წალეკავს“

## „თუ სააკაშვილი უკრაინის ვიცეპრემიერი გახდა, „ოცნებას“ საერთაშორისო ასპარეზზე გამოუთხრის ძირს და გამოაცლის საფუძველს, არჩევნებზე მისგან საფრთხობელა შექმნას“

იაგო ნაცვლიშვილი

**პასუხობს თუ არა არსებულ გამოწვევებს „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი გეგმა და უზრუნველყოფს თუ არა ის ეკონომიკის გადარჩენას? ეს საკითხი არჩევნებს უკავშირდება თუ შემთხვევით მოხდა სოციალური პაკეტის დახმარების გადანაწილება ოქტომბრამდე? რამდენად ადეკვატური რეაქცია ჰქონდა „ოცნებას“ მიხეილ სააკაშვილის უკრაინის ვიცეპრემიერად შესაძლო დანიშვნაზე და ექნება თუ არა ამას გავლენა ორი ქვეყნის ურთიერთობაზე? ვიცეპრემიერობის შემთხვევაში ჩამოეხსნება თუ არა სააკაშვილი საქართველოს პარლამენტის არჩევნებს და მოუსპობს თუ არა „ოცნებას“ საფუძველს, ისევ მტრის ხატზე ააგოს საარჩევნო კამპანია? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.**

***— მთავრობისგან მოვისმინეთ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გეგმა. ეს პასუხობს თუ არა ის იმ გამოწვევებს, რომლებიც გველოდება ეკონომიკაში?***

— მეც ვეთანხმები საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ეს უფრო იყო გეგმა სოციალური პრობლემების დასაძლევად, ვიდრე ეკონომიკურ მოდერნიზაციაზე ორიენტირებული, თუმცა პრემიერმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ეს არ არის პოსტკრიზისული ეკონომიკური აღორძინების გეგმა და ასეთი გეგმა მომავალში დაიდება.

როდესაც ვაკრიტიკებთ, 1200 ლარს რატომ არ არიგებსო და ამას ვადარებთ ამერიკას, როდესაც იქ რიგდება 1000 დოლარი, არასწორია ეს შედარება, ჩვენი ეკონომიკიდან გამომდინარე. გასაგებია, რომ ჩვენი სამომხმარებლო ფასები თითქმის გაუთანაბრდა ამერიკის ფასებს, ამიტომაც საუბარი იმაზე, რომ 1200 ლარით ისევე შეუძლიათ იცხოვრონ ჩვენმა მოქალაქეებმა, როგორც ამერიკელებმა – 1000 დოლარით, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ ეს არის ის მაქსიმუმი, რაც საქართველოს ბიუჯეტს შეეძლო.

საუბარი იყო იმაზე, რომ დევნილებზე ნაკლები ყურადღება გამახვილდა, ასევე – ვეტერანებზე... ეს, ალბათ, კორექტირებას დაექვემდებარება. მთავარი ის არის, რომ ნებისმიერი ოპოზიციური პარტია, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ხელისუფლებაში, დღეს არსებული ბიუჯეტიდან გამომდინარე, განსაკუთრებით განსხვავებულს ვერაფერს შესთავაზებდა საზოგადოებას, თუმცა, შეიძლებოდა, დროში სხვაგვარად გადაენაწილებინათ, რადგან დღეს არსებულ საბიუჯეტო რესურსს თუ მთლიანად სოციალურ დახმარებაში გავისვრიდით და ბიზნესს, ეკონომიკის განსაკუთრებით დაზარალებულ სფეროებს დახმარების გარეშე დავტოვებდით, ეს მთლიანად ჩამოაქცევდა ეკონომიკას და სრული შიმშილისთვის გაგვწირავდა გვიანი შემოდგომიდან. ეს ნიშნავს, რომ ადამიანები რამდენიმე თვე კი არ დარჩებოდნენ უსამსახუროდ, არამედ გაზრდილი უმუშევრობა და ჩამოქცეული ეკონომიკა წლები გაგრძელდებოდა. ამიტომ, პოპულისტური რიტორიკის გარეშე თუ შევაფასებთ, ასეთ სურათს მივიღებთ. გახარია დღეს „ოცნების“ მაშველი რგოლია. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ კრიტიკას ვიყავით შეჩვეული, ამჯერად, უარყოფითი მოლოდინების საპირისპიროდ, ვირუსთან გამკლავებას მთავრობამ საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი და ეს უნდა ვაღიაროთ.

***— კითხვები ჩნდება, ხომ არ აგვიანებს გადაწყვეტილებების მიღებას ხელისუფლება? ამ ანტიკრიზისულ გეგმასაც თვეები ველოდით. ამდენი დრო სჭირდება დათვლას? ამდენი დრო იყო საჭირო თუნდაც პარლამენტის დისტანციური შეკრებისათვის, რათა გაეკეთებინათ რაღაც კორექტირება, როგორ გადარჩეს ბიზნესი?***

— დათვლა, ანალიზი და პროგნოზი იმის ვარაუდს სჭირდება, თუ რამდენი ხანი შეიძლება დასჭირდეს ვირუსთან გამკლავებას და, შესაბამისად, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეკონომიკის დახურვა. აქედან გამომდინარე, დახმარების პაკეტიც სხვადასხვა უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკას სრულად ხსნი 2 თვეში, თუ, მაგალითად, 6 თვეში ისე, რომ ვირუსი არ გაგექცეს. ხელისუფლება ამის გათვლას ცდილობდა, თუმცა ამის პროგნოზირება დღეს არავის შეუძლია. მაგრამ ევროპის ვირუსისგან ყველაზე დაზიანებული ქვეყნებიც კი თანხმდებიან იმაზე, რომ ეკონომიკის გახსნის დროა.



*— სპეციალისტები გვეუბნებიან, რომ ეს არ გაჩერდება ერთ და ორ თვეში და, შესაძლოა, ერთი წელიც კი გაგრძელდეს. ბუნებრივია, ერთი წელი ეკონომიკას ვერ გავაჩერებთ. ამ ფონზე უფრო მეტი საფუძველი ხომ არ ჩნდება, რომ ხელისუფლებამ ამაზე იფიქროს?*

***— უდავოდ. ტესტირება როგორი ძვირიც არ უნდა იყოს, იმაზე გაცილებით იაფი გამოვა საბოლოოდ, ვიდრე ეკონომიკის ჩამოქცევით გამოწვეული შედეგები. ჩნდება კითხვა, რატომ ამბობს ხელისუფლება ამაზე უარს? ერთი მიზეზია ის, რომ უფრო მეტად გამოჩნდებიან ვირუსის მატარებლები, უმეტესობა უსიმპტომო, მაგრამ ჩვენ, როგორც სამხრეთელები, ემოციური ხალხი ვართ და მოწოდება, უსიმპტომო პაციენტმა იმკურნალოს სახლში, არ გაჭრის და ეს გამოიწვევს პანიკას.***

მანქანების აკრძალვის დროს როგორც მოხდა, რომ ყველა ცდილობს, ნაცნობობით საშვები მიიღოს, ასე იქნება ახლაც, უსიმპტომო პაციენტებიც ნაცნობობით შეეცდებიან, სტაციონარში მოხვდნენ და რეალურად იქ არ დარჩება ადგილები მათთვის, ვისაც ეს მართლა სჭირდება, რაც გამოიწვევს ქაოსსა და პანიკას. ამის ეშინია ხელისუფლებას. ჩვენ არ ვართ შვედეთი არც ჩვენი მენტალობით, არც ემოციებით და არც ტრადიციებით, არა იმიტომ, რომ შვედეთი უკეთესია ან ჩვენ ვართ უარესი, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი მენტალიტეტი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. აქ დიდი როლი ითამაშა რელიგიურმა დღესასწაულებმაც და ხელისუფლება იძულებული გახდა, მაქსიმალურად დაემძიმებინა ფერები. ამას ადასტურებს პაატა იმნაძის ცნობილი ფრაზაც, იტალია დაგვემართება, თუ მასობრივად წავალთ ტაძრებშიო.

***— თუმცა აქაც ხომ ხელისუფლების პრობლემაა, რომ ვერ უზრუნველყო იმ შეზღუდვების აღსრულება, რომლებიც საგანგებო მდგომარეობით მიიღო?!***

— რა თქმა უნდა. ეს ის საკითხია, რომელშიც საკამათოც არაფერია, მაგრამ, საბოლოოდ რა რეალობაც დადგა, იძულებული გახდა, საზოგადოებისთვის ფერები გაემუქებინა. ამ დროს რომ ეთქვა, საეკლესიო რიტუალებს ნუ დაესწრებით გადადების გაზრდილი საშიშროების გამო, მაგრამ, თუ გადაგედებათ და პროცესი უსიმპტომოდ წავა, სახლში დარჩით და იქ იმკურნალეთო, მოსახლეობა ვერ გაიგებდა: თუ ასეთი საშიში არ არის, მაშინ რატომ მიკრძალავ ასეთ მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულზე წასვლასო, იფიქრებდა! ამ წინააღმდეგობებში ჩავარდა ხელისუფლება.

***— რატომ ვერ უთხრა ეკლესიას მკაფიოდ სათქმელი? ცოტა რელიგიურ კონტექსტშიც რომ შევხედოთ, ეს ხომ არ უკავშირდება არჩევნებს?***

— არჩევნებს ბევრი რამე უკავშირდება. არც ერთი პარტიის პოზიციებს არ ვიცავ და ვცდილობ, მაქსიმალურად ობიექტური ვიყო. ამიტომ, მე ვფიქრობ, ვინც არ უნდა ყოფილიყო ხელისუფლებაში, ყველა პარტიის მოქმედება მეტნაკლებად ანალოგიური იქნებოდა, ანუ ყველას მოუწევდა საპატრიარქოსთვის ანგარიშის გაწევა. გავიხსენოთ ნაციონალური მოძრაობის პირველი წლები, სააკაშვილი ცდილობდა, ეკლესიას თავისი როლი ჰქონოდა და სახელმწიფოს – თავისი, როგორც ეს არათეოკრატიულ სახელმწიფოს შეეფერება, მაგრამ, როცა მას შეხვდა წინააღმდეგობა, საპატრიარქოსთან მიმართებით თაფლაკვერის პოლიტიკა არჩია. ყველა ხელისუფლებას ეგონა, რომ საპატრიარქოს მოთაფვლით მას არჩევნებში გვერდში დაიყენებდა, სა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# შოთა მალაშხია: „ხელისუფლება მაროდიორობს“

## „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის მომსახურების ბიურო“

მარიამ მჭედლიშვილი

**მოუწევს თუ არა ხელისუფლებას პოლიტპატიმრების თაობაზე მიღწეული შეთანხმების შესრულება? როგორ სარგებლობენ მმართველი წრეები შექმნილი მდგომარეობით? რომელი საერთაშორისო სტანდარტი უნდა დაეცვა ხელისუფლებას უმუშევრად დარჩენილი ადამიანების დახმარებისას? რატომ არის გაუგებარი უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობების გართულება? რა საერთო აქვს საქართველოს ჩრდილოეთ კორეასთან? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.**

***— თქვენ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად ხელი მოაწერეთ მიმართვას საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებისადმი, სადაც მოუწოდებთ მოკავშირეებს, შეახსენონ საქართველოს ხელისუფლებას 8 მარტს პოლიტპატიმრების თაობაზე მიღწეული შეთანხმება. იქ ნათქვამია, რომ საგანგებო სიტუაციები არ უნდა იქნას გამოყენებული დემოკრატიის დასაზიანებლად. დემოკრატიას ზიანი მიადგა?***

— რასაკვირველია. საქართველოს ხელისუფლება ისედაც ყველაფერს აკონტროლებს და ახლა უნდა კანონმდებლობაში დამატებები, რომლითაც ადამიანებს უფრო მკაცრად დასჯიან. ამით უნდათ სიტუაციის შეკავება. არადა, ეს ცეცხლზე ნავთის დასხმაა. ეს ხელისუფლება საერთაშორისო დონეზე ცნობილია, როგორც თაღლითი. მიუხედავად ამისა, ჩვენ, ოპოზიციამ, ჩვენს წინა მიმართვაში საერთაშორისო თანამეგობრობას მოვუწოდეთ, დაეხმაროს საქართველოს. თაღლითობას ამ მდგომარეობაში დაემატა მაროდიორობა.

***— ხელისუფლება მაროდიორია?***

— დიახ. ხელისუფლება მაროდიორობს იმ დროს, როცა ჩვენ ვღარიბდებით და ვღატაკდებით. ცოტა ხნის წინ გვამცნეს, რომ ლუგარის ლაბორატორიის წესებით შეკერავდნენ ნახევარ მილიონ პირბადეს. სანახევროდ ამაზე ჩვენი საერთო ფული უნდა დახარჯულიყო. შეკვეთა მიიღეს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა და შეიკერა 100.000 ცალი ნიღაბი. მარნეულშიც იგივე განმეორდა: სასოფლო-სამეურნეო



**„კორონავირუსს, ალბათ, სუნთქვის აკრძალვით დაამარცხებენ“**

პროდუქციის იქიდან გამოტანა და გამყიდველებამდე მიტანა ანდეს ერთ კომპანიას. ცხადია, ისიც დაახლოებულია ხელისუფლებასთან. ამასობაში, პრობლემა დროულად ვერ მოგვარდა – იქ საქონელი ფუჭდება, სხვაგან კი დეფიციტია. მმართველები თავიანთ ჯიბეზე ორიენტირებულები რომ არ ყოფილიყვნენ, ყველაფერი მალე მოგვარდებოდა. თავიანთ საქმეს როცა აკეთებენ, მაშინ შეფერხებები არა აქვთ.

***— რას გულისხმობთ?***

— ბიძინა ივანიშვილისთვის ხეები რომ გადააქვთ და გადმოაქვთ, დაბრკოლება გინახავთ?! იაფად მიწებს რომ ყიდულობენ, მაშინაც ყველაფერი რიგზეა. ახლა ხელს ითბობენ. გამოკეტილი ხალხი ავტომანქანებითაც ვეღარ სარგებლობს, ერთეულები კი ავტომობილებით დაიარებიან. ისინი მარტო პოლიციელები, ექიმები და პურის მცხობლები არ არიან. უკანონო საშვებით დაიარებიან ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები. ამ ერთმა ჯგუფმა ჩვენს ხარჯზე მოიწყო ცხოვრება, ხელისუფლებამ უფრო კომფორტული პირობები შეიქმნა.

***— საზოგადოების ნაწილის თვალში ხელისუფლება შექმნილ საგანგებო მდგომარეობაში ხალხს შეძლებისდაგვარად ეხმარება.***

— არსებობს საერთაშორისო სტანდარტი, რომლითაც ხელისუფლება ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებას და პირდაპირ აფინანსებს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ეს სჭირდებათ. ამისათვის გამოიყოფა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10%. ჩვენთან მშპ 5,5 მილიარდი ლარია. აქედან 25% დახმარებებზე უნდა გაიცეს. ეს მილიარდ-ნახევარი ლარია. ამ შემთხვევაში შემწეობა ესაჭიროებათ იმ ადამიანებს, რომლებმაც კორონავირუსის გამო ყოველდღიური შემოსავალი დაკარგეს – ტაქსისტებს, ბაზრობების, ბაზრების გამყიდველებს და ა.შ. გამოდის 1.000 ლარი ერთ დაზარალებულზე. ათასი ლარი ჰაერიდან მოტანილი ციფრი არ არის. ხალხს ის ეკუთვნის. ისეთ გარემოში ვცხოვრობთ, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი კომპენსაცია დაზარალებულების მაგივრად შეიძლება სხვებმა მიიღონ.

***— ვინ?***

— ვინც აქამდე სარგებლობდა სიკეთეებით, ვინც „ნარუშილოვკით“ დაგრიალებს იმ დროს, როცა სხვებს გადაადგილება გვეკრძალება. არ გახსოვთ, სოსო გოგაშვილი რომ სოციალურად დაუცველი იყო და უცებ მილიონერი გახდა? ირაკლი ღარიბაშვილს ისეთი საათების კოლექცია აქვს, რომ მსხვილ ბიზნესმენს არ ექნება. თითო მაჯის საათი 30.000 ღირს. ამას ხელფასით ვერ შეიძენ. თუნდაც პრემიერი და მინისტრი იყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საზოგადოებაზე ზრუნვა არ იგრძნობა. ასეა ახლაც, პანდემიის დროს, არადა, მთელ მსოფლიოში არის სოლიდარობა და ერთიანობა. ყველა ყველას ეხმარება. ბოლო დღეებში ხელისუფლება ძალიან გაღიზიანებულია. ამის მიზეზია უკრაინაში მიმდინარე მოვლენები.

***— სააკაშვილისთვის გაკეთებულ შემოთავაზებას გულისხმობთ?***

— ცხადია. მას უკრაინის ვიცეპრემიერობა შესთავაზეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან საქართველოს დასახმარებლად რამდენიმე ინიციატივა გამოიჩინა. ჯერ ერთი, მას უნდოდა დახმარება ჩვენი ემიგრანტების საქართველოში ჩამოყვანაში. მეორეც, მას უნდოდა ხელისუფლების თანხმობა იმაზე, რომ მოეზიდა თანხები საქართველოსთვის. ამ უკანასკნელი წინადადებიდან ორ დღეში შესთავაზეს იმ ქვეყნის ვიცეპრემიერობა, რომელიც საქართველოზე 10-ჯერ დიდია. „ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილს დასცინა, უფრო მეტიც, დაიმუქრნენ, რომ უკრაინიდან ჩვენს ელჩს გამოიწვევენ. ამას, ალბათ, არ იზამენ, მაგრამ უკრაინასთან დიპლომატიურ ურთიერთობას ართულებენ. ეს ადასტურებს, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების ინტელექტუალური მარაგი ნულამდეა დასული.

***— პოლიტიკური ნიშნით დაკავებულების საკითხს დავუბრუნდეთ. მოუწევს ხელისუფლებას მათი გათავისუფლება?***

— სხვანაირად არ გამოვა. ხომ არ შეიძლება, არ შეასრულო იმ პარტნიორების მოთხოვნები და რეკომენდაციები, რომლებისგანაც დახმარებას იღებ?! მენტალურად, ამის გაკეთება არ უნდათ. გადაწყვეტილებებს ქვეყანაში ერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი იღებს, რომელიც დაკავებულია ტიკ-ტოკით და ხალხი ფეხებზე ჰკიდია.

***— ამ სახალისო ვიდეოზე „ქართულმა ოცნებამ“ განცხადება გააკეთა. იქ ნათქვამია, რომ ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას თავის ოპტიმიზმს უზიარებს და რომ ვიდეოს გადაღებამდე მან იმ დღეს სამი თათბირი გამართა საჭირბოროტო საკითხებზე.***

— ეს განცხადება აჩვენებს, რომ მმართველი პარტია დასულია სრულ მარაზმამდე. უფრო სწორად, ეს პარტია არ არის. ესაა ბიძინა ივანიშვილის მომსახურების ბიუროს ნაწილი, რომელმაც ყველაფერზე ტაში უნდა დასცხოს. იგივე ხდება ჩრდილოეთ კორეაში. იქაურმა „ოცნებამ“ კიმ ჩენ ინზე თქვა, რომ ის მზეზე იყო გასული, თან დასძინა, რომ ეს ღამით მოხდა. აი, ასე „აპრავებს“ იქაური მმართველი პარტია ყველაფერს. ჩვენთან „ოცნება“ ქება-დიდებას უძღვნის ყველაფერს, რასაც ბიძინ-ინი აკეთებს. კიმ ჩენ ინს ატომური ბომბი აქვს, ბიძინ-ინ-ს – ანგარიშები უცხოეთში. ამაშია სხვაობა. ანგარიშების საშუალებით მასზე ზემოქმედება შესაძლებელია.

***— მედიკოსი თენგიზ ცერცვაძე აცხადებს, რომ თუ არ შევასრულებთ რბილ წესებს, დადგება მათი გამკაცრების აუცილებლობა.***

— ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ ახლა რბილი წესები გვაქვს?! ერთი, სუნთქვის უფლება დაგვიტოვეს. ჯანდაცვის ხელმძღვანელობა უცნაურ განცხადებებს აკეთებს. მაგალითად, სტომატოლოგი მინისტრი აცხადებს, რომ ერთი კოვზით ინფექციის გავრცელებაზე კვლევა არ ჩატარებულა. ასეთი „კომპეტენტური“ ჯანდაცვის მინისტრი გვყავს. ამათ არც შვედური მოდელი მოსწონთ, არც – სამხრეთკორეული. ალბათ, ჩრდილოკორეული და თურქმენული გამოცდილება გამოადგებათ. ჩრდილოეთ კორეაში ინფიცირებულებს ხვრეტენ, თურქმენეთში კი აიკრძალა სიტყვა „კორონავირუსის“ ხმარება. შეიძლება, აქ სუნთქვა აკრძალონ და ადამიანი ორი წუთის შემდეგ ამისგან გარდაიცვლება. ავტორიტარულ რეჟიმებთან ახლოს არიან. პარლამენტში არსებული კანონპროექტით, ვინც საგანგებო მდგომარეობის წესებს ორჯერ დაარღვევს, 6 წლით დააპატიმრებენ.

# „ოპოზიციის გამიჯვნა პოლიტიკისგან სწორი არ არის“

## ვახტანგ ძაბირაძე: „რაც თავი მახსოვს, ვერც ერთი ხელისუფალი ვერ გრძნობს ქვეყანაში, როგორ მწიფდებოდა უარყოფითი მუხტი“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.**



***— ბატონო ვახტანგ, დღეს მხოლოდ ხელისუფლება ჩანს და ეს ბუნებრივია, მაგრამ ოპოზიცია რამდენ ხანს მოითმენს, რამდენ ხანს იტყვის უარს პოლიტიკურ პროცესზე?***

— გასაგებია, დღეს ხელისუფლებას მარტო, ყოველგვარი დახმარების გარეშე ყველა გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, გარდა საკონსტიტუციო ცვლილებისა. „ქართულ ოცნებას“ ამის რესურსი აქვს პარლამენტში. ერთი სიტყვით, ხელისუფლებას ხელ-ფეხი გახსნილი აქვს, მაგრამ ოპოზიციის გამიჯვნა პოლიტიკისგან, არა მგონია, სწორი და გონივრული იყოს. მე ვფიქრობ დებატები უფრო წაადგება თავად ხელისუფლებას და, რაც მთავარია, წაადგება პროცესს.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს ოპოზიცია, ოპოზიციაა. ნებისმიერ ქვეყანას, ნებისმიერ ხელისუფალს, რა დიდი დემოკრატიც არ უნდა იყოს, სჭირდება ოპოზიცია. ეს ელემენტარული დემოკრატიის კანონზომიერებაა. ამიტომ პარლამენტი აუცილებლად უნდა იყოს პროცესებში ჩართული. ზოგჯერ მიუღებელი, ზოგჯერ მისაღები არგუმენტები, წინადადებები უნდა ისმოდეს. პარლამენტში დებატები აუცილებელია. ეს რეალობა ბევრად უკეთესია, ვიდრე დახშული სივრცე და სიჩუმე.

***— ხელისუფლება ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, შეიძლება თქვას, უფრო ნაყოფიერიც არის. ასე არ არის?***

— რა თქმა უნდა, ბევრად უფრო კომფორტულად არის. ვის უნდა იმის მოსმენა, რასაც ისმენდა, მაგრამ კრიტიკა ლაფსუსებისგან ხომ გვაზღვევს?! რომ არ მოხდეს ისეთი ლაფსუსები, როგორიც მსუბუქი მანქანების შეზღუდვაა, რომელიც ზოგჯერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით რაიონებში, სოფლებში. ასეთი შეცდომები რომ არ გაიპაროს, ოპოზიციის ჩართულობა, დებატები, განხილვები ამიტომ არის მნიშვნელოვანია. კი, ბატონო, არ დაასწრონ მედია, მაგრამ ოპოზიციის ჩართულობა აუცილებელი მგონია. ისიც იძულებული იქნება, უფრო მეტად მოემზადოს დებატებისთვის, როგორც ხელისუფლება იქნება იძულებული, უფრო მობილიზებული იყოს.

***— როგორ ფიქრობთ, იმ ფონზე, როდესაც რამდენიმე თვეში მნიშვნელოვანი არჩევნებია და მაშინ, როდესაც მხოლოდ ხელისუფლება ჩანს ასპარეზზე, ოპოზიციას ჩართავს პროცესში?***

— მცდელობა იმისა, რომ ოპოზიცია არ ჩართო პროცესში, დიდი გულუბრყვილობაა. თუ პარლამენტში არ ჩართავს, სხვა გზები გაჩნდება და ოპოზიცია აუცილებლად მოძებნის ამ გზებს. ეს ელემენტარული თვითგადარჩენის ინსტინქტია. ამიტომ, ჯობია, პარლამენტში იყოს მოქცეული ეს ყველაფერი.

***— ვიდრე, მაგალითად, იპოდრომზე ან საკარანტინო ზონაში მარნეულში?***

— დიახ, ზუსტად ამას ვგულისხმობ. ამას უნდა მიხვდეს ხელისუფლება. საუბარი იმაზე, რომ ოპოზიციამ მოაწყო მიტინგი მარნეულში, მთლად სწორი არ არის, რადგან საპროტესტო მუხტის აგორებას ყოველთვის ცდილობს ოპოზიცია, მაგრამ, თუ ეს მუხტი არ არის ხალხში და რეალური მიზეზი არა აქვს ადამიანს, ის არ გამოდის ქუჩაში. ჩვენ ხომ ვიცით, მარნეულში რატომაც გამოვიდა ხალხი ქუჩაში! ეს პრობლემა ხვალ-ზეგ კახეთში დადგება.

შეიძლება, ვიღაცას სულაც არ აწყობს, პანდემიის პირველ ეტაპზე ის წარმატება, რომელსაც ხელისუფლებამ უდავოდ მიაღწია, მხოლოდ მან დაიწეროს. პოლიტიკური ქულები ძალიან მიმზიდველია, მაგრამ, საკმარისია, ორი-სამი მსგავსი შემთხვევა, რაც მარნეულში მოხდა, სხვადასხვა რეგიონში მოხდეს, რომ ყველაფერი წყალში ჩაეყაროს მთავრობას. თუ მხოლოდ იმის იმედად არის, რომ 200 ლარს დაურიგებს მოსახლეობას და ამით დამთავრდება ყველაფერი, მერწმუნეთ, ასე არ იქნება.

***— ანუ ვერ მოისყიდის?***

— ვერა. ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებულია, დაეხმაროს და ეს ასეც არის. მოსყიდვა სხვა რაღაცაა. ამიტომ ხელისუფლებას დღეს ოპოზიციის, საზოგადოებრივი აზრის იგნორირება, შეიძლება, ბუმერანგივით მოუბრუნდეს. როგორც ჩანს, ვიღაცები ფიქრობენ, რომ ოპოზიციის იგნორირება, მათი თამაშგარეთ დატოვება უფრო მომგებიანია, მაგრამ, მერწმუნეთ, წამგებიანი იქნება.

***— როგორ ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს არჩევნებზე პანდემია, მასთან დაკავშირებული მოვლენები, თუ ფინალი იქნება გადამწყვეტი?***

— არჩევნების საკითხი, ისევე, როგორც კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები, სანამ პანდემია გამოცხადდებოდა, მანამდე იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. დღეს უკვე ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, არსებული ვითარება ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მე არ გამოვრიცხავ, რომ თუ მთავრობამ არჩევნების გადატანა საჭიროდ მიიჩნია, უპრობლემოდ გადაიტანს კიდეც, მაგრამ ეს ეჭვები უნდა გაფანტოს ხელისუფლებამ. ეს ოპოზიციასთან ერთად უნდა გააკეთოს, არ ვიცი, მასთან თანამშრომლობით თუ დებატებით.

სამწუხაროდ, რაც თავი მახსოვს, ვერც ერთი ხელისუფალი ვერ გრძნობს ქვეყანაში, როგორ მწიფდებოდა უარყოფითი მუხტი. მე მეშინია, ეს დადებითი ემოცია, რომელიც დღეს არის ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, უარყოფით მუხტში არ გადაიზარდოს სხვა გამოწვევების იგნორირებით. ამაზე უნდა იფიქროს ხელისუფლებამ, რათა მიღწეული წყალში არ ჩაეყაროს.

# ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთიდან დახმარების მიღების იმედი დაკარგეს

## პრემიერი ანქვაბი: „სოციალური ხარჯები გაგვეზრდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიასა და მის მიერ პრემიერად დამტკიცებულ ალექსანდრე ანქვაბს უმძიმეს პერიოდში მოუხდათ საქმიანობის დაწყება. თავისი წილი ტვირთი დააწვა ბჟანიას კიდევ ერთ თანაგუნდელ ალხას კვიცინიას, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დაამტკიცეს.

მანამდე მოქმედი ფაქტობრივი მინისტრთა კაბინეტი გადაყენებულია. ახალი პრემიერი ანქვაბი მოვალეობის შემსრულებელ წევრებს დამტკიცებისთანავე შეხვდა. თათბირის განხილვის თემა იყო კორონავირუსის გამო დამძიმებული მდგომარეობა, გადასახადების გადახდის მიმდინარეობა და საბაჟო შემოსავლები.

აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობა დამთავრდა, კოვიდ-ინფექციაზე ტესტირება გრძელდება, იხსნება დახურული ობიექტები, ზარალი კი დიდია.

თათბირზე დადასტურდა, რომ ვითარება კრიტიკულია. შემოსავლებში დიდი ჩავარდნაა. რისი შეკვეცა და შემცირებაც შეიძლებოდა, უკვე მოხდა. ძალოვნებსა და ჯანდაცვის სისტემას, ხელფასებსა და შემწეობებს ვერ შეეხებიან.

პირველი კვარტლის შედეგებზე სრულ ანგარიშს ორ კვირაში წარმოადგენენ. მისი დაგვიანება გამოიწვია აფხაზეთში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ. თუ სიტუაცია კარდინალურად არ შემობრუნდა, წლის ბოლოსთვის დანაკლისი დიდი იქნება და დაგეგმილის 60%-ს მიაღწევს. მოსალოდნელია ბიუჯეტის სეკვესტრი.

ანქვაბის თქმით, ხელმოკლე ოჯახები რეგისტრირებული არიან, თუმცა მათი რაოდენობა რეალურად ბევრად დიდია. ეს გამოჩნდა მაშინ, როცა ადამიანებმა ჰუმანიტარული დახმარება მოითხოვეს.

მისი სიტყვებით, სოციალური ხარჯების ზრდა გარდაუვალია.

— დროა, მივხვდეთ, რომ რუსეთზე არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული. ჩვენი ქვეყანა ჩვენი ძალებით უნდა წამოვწიოთ. ამისათვის უარი უნდა ითქვას „ატკატებზე“ და მექრთამეობაზე, პრესტიჟულ ავტომობილებსა და ვილებზე, — ამბობს ერთ-ერთი რიგითი აფხაზი.

ჟურნალისტი ინალ ხაშიგი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში აფხაზეთს რუსეთი ვერ იხსნის. ნავთობის ფასები ღრმა აუტზე გავიდა და რუსეთს თავისი პრობლემები აქვს. ამ



სიტუაციაში აფხაზეთს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს.

ჟურნალისტი ამბობს, რომ ზაფხულში დამსვენებლების ნაკადები რუსეთიდან გამოსავალი არ იქნება:

— კორონავირუსი რომ მინელდეს და ზაფხულში ტურისტებისთვის საზღვრები გაიხსნას, მდგომარეობა ვერ შემსუბუქდება: თითქმის ასპროცენტიანია ალბათობა, რომ ტურიზმთან ერთად რესპუბლიკაში მასობრივად შემოვა კორონავირუსი. აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემა ამას ვერ გაუძლებს და ჩამოიშლება.

ხაშიგის შეფასებით, კორონავირუსმა აფხაზეთში მინიმალურად შემოიხედა (სულ 3 შემთხვევა დაფიქსირდა). მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ზარალი კოლოსალურია. აფხაზეთის ბიუჯეტს ამგვარი კატაკლიზმები არ გადაუტანია. ხალხი ღატაკდება. ერთადერთი, სადაც ამ დღეებში რიგები შეინიშნებოდა, ლომბარდებია.

მისი თქმით, ასლან ბჟანიას უმძიმესი გამოცდა ელის. მას ყველგან ხაფანგები აქვს დაგებული. ბჟანიას დახვდა შეუსრულებელი ბიუჯეტი, გაღატაკებული მოსახლეობა, უმუშევრობის ზრდა და კრიმინალის აფეთქების პერსპექტივა.

ბოლო წლებში ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოება და ოპოზიცია საუბრობდა მოსახლეობის უმრავლესობის გაღარიბებასა და სოციალური უთანასწორობის ზრდაზე, კორუფციის მატებაზე.

ცალკე პრობლემაა აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც არიან დისკრიმინაციის მსხვერპლი.

რამდენიმე დღის წინ, ბჟანიასა და ანქვაბის საქმიანობის დაწყებამდე, სოხუმის დე ფაქტო საგარეო უწყება აღშფოთებული იყო იმით, რომ თბილისი ევროკავშირს აფხაზეთში შექმნილ სიტუაციაზე აფხაზების გარეშე ელაპარაკება.

პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ახალი რეალობის პირობებში, შესაძლებელია, რომ ქართველები აფხაზებს დაელაპარაკონ და ევროპიდან იქ დახმარებაც შევიდეს.

# ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნებამ“, შესაძლოა, არჩევნები გრიალით მოიგოს, მაგრამ მას მშიერი ხალხის რევოლუცია წალეკავს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ დღეს მთელ პოლიტიკურ სპექტრს, ხელისუფლებასაც, ოპოზიციასაც და მომავალ ხელისუფლებასაც საპატრიარქო კარნახობს და უკარნახებს პირობებს.

***— არჩევნების თემა რომ გავაგრძელოთ, სოციალური დახმარებების საკითხიც ამასთან ხომ არ არის დაკავშირებული, თუნდაც ის, რომ 6 თვეზე განსაზღვრეს, ეს მთავრდება მაშინ, როცა არჩევნები უწევს. ხომ შეიძლებოდა, ვთქვათ, 4 თვეზე გაენაწილებინათ და მიეცათ, მაგალითად, 300 ლარი, ან სხვა ვარიაცია? ეს დამთხვევაა თუ არჩევნებზეა სწორება?***

— არა, დამთხვევა ნამდვილად არ არის. არჩევნები დაღს ასვამს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მაგრამ, გარწმუნებთ, არჩევნების პრიზმაში გაატარებდა ნებისმიერი პოლიტიკური პარტია თავის ნაბიჯებს, დღეს რომ ხელისუფლებაში იყოს.

***— გამოჩნდა, რომ მეტ-ნაკლებად კარგად გაუმკლავდა „ოცნება“ ვირუსთან დაკავშირებულ პანდემიას. ეს მოუტანს თუ არა მას იმ შედეგს, რომ წარმატება მოიპოვოს არჩევნებზე?***

— ხვალ რომ არჩევნები იყოს, „ოცნება“ ცალსახად იგებს ამ არჩევნებს, ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე: ადამიანებს ჯერ კიდევ არ უგრძნიათ ბოლომდე შიმშილი და უმუშევრობის სუსხი, საქართველო კარგად უმკლავდება უშუალოდ ვირუსის პანდემიას. ვთქვით, რომ ბევრი რამე სხვანაირად შეიძლებოდა, მაგრამ ვირუსის გავრცელებას ჯერჯერობით კარგად უმკლავდება და, არა მგონია, ამ მიმართულებით ვითარება რადიკალურად შეიცვალოს.

***— ოპოზიციაც, ფაქტობრივად, გამქრალია დღის წესრიგიდან და ესეც ხომ არ არის ამ ეტაპზე „ოცნების“ უპირატესობის მიზეზი?***

— მესამე მიზეზი ისიც არის, რომ ოპოზიციამ თავისი თავი ახალ რეალობაში ჯერჯერობით ვერ მონახა და არა იმიტომ, რომ ოპოზიცია სუსტია. ბევრი მეცნიერის მოსაზრება არსებობს ამ საკითხებზე, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მასლოუს შკალაა, რომელიც ადამიანის უსაფრთხოების მოთხოვნილებებს განიხილავს: პირველ რიგში, ის ასახელებს სიცოცხლის მოთხოვნილებას და, თუ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ადამიანი სხვა არაფერზე ფიქრობს. მხოლოდ მას შემდეგ, როცა მისი სიცოცხლე დაცულია, ადამიანს ეწყება სხვა მოთხოვნილებები, ვთქვათ, ჩაცმა-დახურვის მოთხოვნილება, ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების, განათლების, სოციალური კონტაქტების მოთხოვნილებები, აღიარებისა და ლიდერობის მოთხოვნილება და ა.შ. მაგრამ, თუ ტყვია გაქვს მოშვერილი, არჩევნებში კენჭისყრაზე ვერ იფიქრებ. ამით აიხსნება დღეს ოპოზიციის მიმართ ნაკლები ინტერესი და საზოგადოების კონსოლიდირება ხელისუფლების გარშემო.

***— რა იქნება 6 თვის შემდეგ?***

— ეს დამოკიდებულია ბევრ თუ-ზე, გაიქცევა თუ არა ვირუსი და, რაც მთავარია, რამდენად გამწვავდება ეკონომიკური ვითარება. ხელისუფლებამ გათვლა გააკეთა იმაზე, რომ სოციალურად ყველაზე დაუცველ ფენებს აღმოუჩინა გარკვეული დახმარება. მაგრამ მან არ უნდა იმოქმედო პრინციპით, მთავარია, არჩევნები გადავაგოროო და მის ჩატარებამდე არ იჩინოს თავი კრიზისებმა. დარწმუნებით ვამბობ, რომ ეს იქნება ძალიან ბრიყვული და ახლომხედველური პოლიტიკა. არჩევნების მოგება იმ ვითარებაში, რომელშიც მსოფლიო და საქართველოა, არაფერს ნიშნავს: არჩევნები, შეიძლება, გრიალით მოიგო ოქტომბერში, მაგრამ იანვარ-თებერვალმარტში რევოლუციამ წაგლეკოს, მშიერი ხალხის რევოლუციამ. ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ ეკონომიკის გადარჩენაზე იფიქროს და არ დაიმშვიდოს თავი იმით, რომ ოქტომბერში არჩევნები მოიგოს.

***— მიხეილ სააკაშვილი, შესაძლოა, გახდეს უკრაინის ვიცეპრემიერი და „ოცნებაში“ ამის გამო ერთგვარი პანიკა შეინიშნება. გახარიამ თქვა, რომ როგორც მინიმუმ, ელჩის გამოწვევა კონსულტაციებისთვის მოხდება. ამას პარტნიორი ქვეყანა შიდა საქმეებში ჩარევად არ აღიქვამს და ხომ არ ხდება სააკაშვილთან შუღლზე ქვეყნის ინტერესების გადაყოლება?***

— როდესაც სტრატეგიულ პარტნიორობაზე ვსაუბრობთ, სტრატეგიული პარტნიორობა არის ორმხრივი და ის ცალმხრივი არ არსებობს. როდესაც უკრაინის ხელისუფლება ამ ნაბიჯს დგამდა და ის საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავდა, მინიმუმ, მისი აზრი უნდა გაეგო ამ დანიშვნაზე. რაც ჩვენ ვნახეთ, ეს არის ურთიერთუპატივცემულობა საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის, მაგრამ — პროვოცირებული უკრაინის ხელისუფლების მიერ. საქართველოს რომ ჩაედინა უკრაინის მიმართ ანალოგიური ქმედება, ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვებოდა უკრაინის მხრიდან მძაფრი პროტესტი. ეს არ არის სტრატეგიული პარტნიორის ჟესტი.

***— ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას ეს საკითხი გააფუჭებს?***

— რა თქმა უნდა. ეს მაფიქრებინებს, რომ უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებას სათანადოდ სერიოზულად არ აღიქვამს, თან ვფიქრობ, რომ სააკაშვილის საკითხი, სულ მცირე, აშშ-სთან იქნებოდა შეთანხმებული. ეს არ არის ის საკითხი, რომელსაც დამოუკიდებლად გადაწყვეტდა უკრაინის ხელისუფლება. ამიტომ ეს ამერიკის მხრიდან საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ანგარიშის გაუწევლობასა და უპატივცემულობასაც უსვამს ხაზს, გამომდინარე შედეგებით, თუმცა, უფრო ფართო ჭრილში თუ შევხედავთ, სააკაშვილის უკრაინაში დანიშვნა-არდანიშვნის თემა რუსეთ-ამერიკის დაპირისპირების ჭრილშიც უნდა განვიხილოთ — ვისი გავლენა გადაწონის უკრაინაში, ამიტომ ეს პრინციპული საკითხია. ამითაც აიხსნება საქართველოს ხელისუფლების შეშფოთება, რადგან მან იცის, რომ უკრაინის ვიცეპრემიერი სააკაშვილი, შეიძლება, საქართველოს შიდა საკითხებში ველარ ჩაერიოს ისე აქტიურად, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულად შეავიწროებს ჩვენი ხელისუფლების პოზიციებს.

***— ეს იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ სააკაშვილი საქართველოს არჩევნებს ჩამოეხსნება?***

— ნაწილობრივ — კი, თუმცა მისი პასიურობა ზედაპირული იქნება, სამაგიეროდ, „ოცნებას“ საერთაშორისო ასპარეზზე გამოუთხრის ძირს. მეორე მხრივ, თქვენი კითხვა საინტერესოა იმითაც, რომ უკრაინაში სააკაშვილის ოფიციალური თანამდებობა „ოცნებას“ საფუძველს გამოაცლის, არჩევნებზე სააკაშვილისგან საფრთხობელა შექმნას.

თუ სააკაშვილი არ აირჩიეს, ეს ფსიქოლოგიურად, შესაძლოა, მისთვისაც და ნაცმოძრაობისთვისაც დამანგრეველი აღმოჩნდეს. თუ აირჩიეს, მას ექნება უკრაინის მთავარი რეფორმატორის სტატუსი და მსოფლიოს ყურადღება იქნება მისკენ მიპყრობილი. თუმცა მისი ბრძოლა უკრაინელ ოლიგარქებთან ძალიან რთული იქნება. ზელენსკის საერთაშორისო ასპარეზზეც სჭირდება სააკაშვილი: თუ სააკაშვილმა, დაპირებისამებრ, ჩინეთიდან წამოსული გლობალური ბრენდებიდან 1-2 მსხვილი კომპანიის უკრაინაში გადაქაჩვა მაინც შეძლო, ეს უკვე სერიოზული მიღწევა იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მხოლოდ ერთი კომპანიის ფილიალის დახურვამ ჩინეთში 60.000 კაცი უმუშევარი დატოვა.

# ბათუმში ბულგარეთის 2 მოქალაქე დააკავეს

## მათ ბრალად სომხეთიდან საქართველოში 40 კგ ჰეროინის შემოტანა ედებათ

გუშინ, 26 აპრილს, დაახლოებით 3 საათის განმავლობაში სპეცდანიშნულების რაზმი იყო მობილიზებული მახინჯაურში.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა სპეცოპერაცია ახალგაზრდობის გამზირზე, პირველ ნომერში ჩაატარეს.

– ბათუმში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, სამართალდამცავებმა 40 კგ ჰეროინი ამოიღეს.

ამის შესახებ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა ჭელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ბულგარეთის რესპუბლიკის ორმა მოქალაქემ საქართველოში უკანონოდ ჰეროინი შემოიტანა და ევროპაში გატანას გეგმავდა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის ერთობლივი სპეცოპერაცია წარმატებით ჩატარდა, ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკი – ჰეროინი. სპეციალური ღონისძიებების ჩატარების შედეგად, ამოღებულია 40 კგ ჰეროინი, რომლის ღირებულება შავ ბაზარზე 2 მლნ დოლარს აჭარბებს.

გამოძიებით დგინდება, რომ ბულგარეთის რესპუბლიკის ორმა მოქალაქემ საქართველოში წინა წლის მარტის თვეში უკანონოდ გადმოზიდა მსუბუქ ავტომობილში, სპეციალურად გამზადებულ სამალავში, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ნარკოტიკი და ბათუმში დროებით საცხოვრებელ ბინაში განათავსა, საიდანაც აორგანიზებდნენ ცენტრალურ ევროპაში მის გადაზიდვას.

შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება, მიმდინარეობს სხვა პირების გამოვლენა, – განაცხადა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა ჭელიძემ.



გუშინვე შსს-მ ბათუმში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა.

უწყების ცნობით, სამართალდამცველებმა ბულგარეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააკავეს, ამოღებულია 40 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რომლის ფასი 2 მილიონამდე აშშ დოლარს შეადგენს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა სომხეთის რესპუბლიკიდან, საერთაშორისო გადაზიდვის მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოიტანეს 40 კილოგრამამდე ჰეროინი, რომელსაც ბათუმში, სპეციალურად მოწყობილ ადგილზე ინახავდნენ და აღნიშნული ნარკოტიკების ევროპაში გადაზიდვას აორგანიზებდნენ.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის, საქართველოს გენერალური პროკურატურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ორთვიანი ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, საერთაშორისო ნარკოდამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი გამოვლინდა.

ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად დაკავებულია ბულგარეთის რესპუბლიკის 2 მოქალაქე და ამოღებულია 40 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი".

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა დ.მ.-მ და ვ.ც.-მ მსუბუქ ავტომანქანაში მოწყობილი სპეციალური სამალავის მეშვეობით სომხეთის რესპუბლიკიდან საერთაშორისო გადაზიდვის მიზნით საქართველოში უკანონოდ შემოიტანეს 40 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი", რომელსაც ინახავდნენ ქალაქ ბათუმში, სპეციალურად მოწყობილ ადგილზე და აღნიშნული ნარკოტიკების ევროპაში გადაზიდვას აორგანიზებდნენ.

დაკავებულების დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები. ამოღებული ნარკოტიკების ფასი 2 მილიონამდე აშშ დოლარს შეადგენს.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით აწარმოებს", – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პოლიცია თეთრიწყაროს რაიონულ ცენტრში მკაცრი საკარანტინო რეჟიმის აღსრულებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს




უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის რაიონულ ცენტრში, თეთრიწყაროში, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები ამოქმედდა.

შეზღუდვებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, თავდაცვის ძალების წარმომადგენლებთან ერთად, 24 საათის განმავლობაში, საგანგებო რეჟიმში გააკონტროლებენ.

საკარანტინო პირობები მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას ითვალისწინებს. რაიონული ცენტრის შესასვლელებსა და გასასვლელებში მოწყობილია საკონტროლო-გამშვები პუნქტები.

პოლიცია ადგილობრივ მოსახლეობას საკარანტინო შეზღუდვებს განუმარტავს და საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად დაეხმარება.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 132 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულებისა და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.



ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 132 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 25 აპრილის 21 საათიდან 26 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით 75 მოქალაქე დააჯარიმა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 24 პირი დააჯარიმეს.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრებისა და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო სულ 33 მოქალაქე დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

# გურიაში 25 წლის ბიჭს ცოლის ცემისთვის გაასამართლებენ



გურიაში 25 წლის მამაკაცი დააკავეს. მას 17 წლის ცოლის ცემის ბრალდებით გაასამართლებენ.

შსს-ში აცხადებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1995 წელს დაბადებული გ.გ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობის ბრალდებით ოზურგეთში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მამაკაცმა მეუღლეს – 2003 წელს დაბადებულ მ.მ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას გულისხმობს.

# გორთან მანქანა მტკვარში გადავარდა

## მძღოლი დაიღუპა



გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში მანქანა მტკვარში გადავარდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპულია მძღოლი, 42 წლის მამაკაცი.

შემთხვევა 24 აპრილს, საღამოს, კომენდანტის საათის დროს მოხდა.

შს სამინისტროს ცნობით, გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს.

ავტომანქანაში მხოლოდ ერთი ადამიანი იმყოფებოდა.

# ყანდაურაში მასობრივი მკვლელობის საქმეზე ნოდარ გამყრელიძე დააკავეს




25 აპრილს კახეთის პოლიციის სამხარეო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ყანდაურაში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული ნოდარ გამყრელიძე დააკავეს.

სამართალდამცველები მას ერთი წლის განმავლობაში ეძებდნენ და საკუთარ სოფელში მიაკვლიეს.

ყანდაურაში მკვლელობა გასული წლის 3 მაისს მოხდა. შსს-ს მიერ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, 85 წლის ომარ გამყრელიძემ ცეცხლსასროლი იარაღით შვილი, რძალი და ორი მეზობელი მოკლა, ავადმყოფი მეუღლე კი დაჭრა, რომელიც მოგვიანებით გარდაიცვალა. გამყრელიძე დააკავეს და სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით მას პატიმრობა შეუფარდა. მოგვიანებით ის 2.000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლეს.

ამავე საქმეზე ბრალდებულ ომარ გამყრელიძის შვილიშვილიც დააკავეს. მას იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას ედავებოდნენ. გასული წლის ნოემბერში პატიმრობიდან ისიც გათავისუფლდა.

ნოდარ გამყრელიძე დანაშაულს არ აღიარებს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" დაკავებულის ადვოკატმა გიორგი ქართველიშვილმა განუცხადა.

ქართველიშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის თხოვნიდან გამომდინარე, საქმის დამატებით დეტალებზე ვერ ისაუბრებს. უფლებადამცველი არც იმ კითხვას პასუხობს, რატომ იმალებოდა ნოდარ გამყრელიძე 1 წლის განმავლობაში, თუკი დანაშაული მას არ ჩაუდენია.

– პირდაპირ მთხოვა ასეთი რამ, რომ ამ საქმეზე ჯერჯერობით არანაირი კომენტარი არ გამეკეთებინა. საქმის დეტალებზე ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ, თუმცა არ სურს, რამე კომენტარი გავაკეთო. ბრალს თავად არ აღიარებს და ჯერჯერობით არაფერს მიუთითებს იმის თაობაზე, ვის შეიძლებოდა ჩაედინა მკვლელობები.

ბრალის წარდგენა რომ მოხდება, კომენტარს შემდეგ გავაკეთებ. ხუთივე ადამიანის მკვლელობას ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არ ედავებიან. ძირითადად, აქ დედის მკვლელობაზე იყო საუბარი, მაგრამ, დაზუსტების შემთხვევაში რა იქნება, წინასწარ ვერ გეტყვით, – განაცხადა გიორგი ქართველიშვილმა.

# ზუგდიდში ზ.ძ.-ს დაჭრისთვის მ.კ. დააკავეს



პოლიციამ ზუგდიდში ახალგაზრდა მამაკაცის დაჭრის ფაქტზე 1 პირი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული მ.კ. ზუგდიდში, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1996 წელს დაბადებულ ზ.ძ.-ს ბასრი საგნით კისრისა და მკერდის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა.

დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საავადმყოფოს კლინიკურმა დირექტორმა სულხან ორჟონიამ განუცხადა, მათთან შეყვანილ პირს გულ-მკერდისა და მუცლის არეში მრავლობითი ჭრილობები ჰქონდა მიყენებული, რის გამოც მას ოპერაცია ჩაუტარდა. ორჟონიას თქმით, პაციენტის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია.

– ახალგაზრდა მამაკაცი გულ-მკერდისა და მუცლის არეში, სავარაუდოდ, ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობებით შემოიყვანეს. სასიცოცხლო ჩვენებით ჩატარდა ოპერაცია, რის შემდეგაც ის გადაყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში. ამჟამად მისი მდგომარეობა მძიმედ რჩება, თუმცა მიღწეულია სტაბილიზაცია და პაციენტი მართვით სუნთქვაზე იმყოფება", – განაცხადა ორჟონიამ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# კონტე: „იტალია ბიზნესის ამუშავებას 4 მაისიდან დაიწყებს, სკოლები სექტემბრიდან გაიხსნება“



კორონავირუსის გამო დაწესებული საკარანტინო შეზღუდვების შემსუბუქების გეგმის ფარგლებში, იტალია სამრეწველო ინდუსტრიის ამუშავებას 4 მაისიდან დაიწყებს, ხოლო სკოლები სექტემბრიდან გაიხსნება.

ამის შესახებ იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯუზეპე კონტემ განაცხადა:

– ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ, რომ 4 მაისიდან სამრეწველო და სამშენებლო ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს ამუშავების საშუალება მივცეთ.

მისივე თქმით, ქვეყანაში ახალ ზომებს მომდევნო კვირიდან წარადგენენ. კონტეს განცხადებით, ამუშავებამდე კომპანიებს მკაცრი ჯანდაცვითი უსაფრთხოების ზომების დანერგვა მოუწევთ. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, სკოლები სექტემბერში გაიხსნება და დისტანციური სწავლება კარგად მიმდინარეობს.

კორონავირუსის ეპიდემია ევროპაში პირველად სწორედ იტალიას დაატყდა თავს, ამიტომ მთელი მსოფლიო ყურადღებით აკვირდება მისი ეკონომიკის ამუშავებას.

# რუსეთის დუმის დეპუტატ ლეონიდ კალაშნიკოვს კოვიდ 19 აღმოაჩნდა



რუსეთის დუმის დეპუტატი ლეონიდ კალაშნიკოვი კორონავირუსის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს.

კალაშნიკოვის თქმით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგი არ არის.

– არცთუ ისე კარგი მდგომარეობაა. თავდაპირველად ჩემი მძღოლი დაინფიცირდა და მე მისგან გადამედო. როგორც კი გავიგე, მას შემდეგ კარანტინში ვიყავი, მაგრამ ვირუსი მეც გამომივლინდა, მაღალი სიცხე მაქვს, – აღნიშნა კალაშნიკოვმა.

# საუდის არაბეთში გაროზგვა გაუქმდა



საუდის არაბეთის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებით გაროზგვა გაუქმდა.

გაროზგვა, როგორც სასჯელის ფორმა, ამ ქვეყანაში უკანასკნელ დრომდე გამოიყენებოდა.

საუდის არაბეთის ხელისუფლებამ გაროზგვა საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შემდეგ გააუქმა. ამას ბიძგი უფლებადამცველ ალ ჰამიდის სიკვდილმა მისცა. ის გაროზგეს, რის შემდეგაც გარდაიცვალა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი

## პოპულარული ხარის დაკრძალვაზე 200 ადამიანი მივიდა



ინდოეთის ტამილ-ნადუს შტატის ქალაქ მადურაიში დაახლოებით 200-მა ადამიანმა დაარღვია კარანტინის პირობები და ეს იმისთვის გააკეთეს, რომ პოპულარული ხარი უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ.

სიცოცხლეში ხარი, სახელად მული, ადგილობრივ მონასტერში ჰყავდათ და მას, როგორც ღვთაებას, ისე ეთაყვანებოდნენ. ის უყვარდათ ფესტივალ ჯალიკატუში მონაწილეობისთვის, რომელიც ესპანურ ენსიეროს წააგავს. ხარს ქალაქის ქუჩებში უშვებდნენ, ხალხი კი მას კუზზე ეკიდებოდა და რაც შეიძლება დიდხანს თავის შენარჩუნებას ცდილობდა, ამ დროს კი ცხოველი დარბოდა და მათ ჩამოგდებას ლამობდა. მულმა 20 წელი იცოცხლა და სიბერისგან მოკვდა.

– ქალები ტიროდნენ, როდესაც მულის სიკვდილის ამბავი გაიგეს, დასახლებაში ყველა დადარდიანდა, – განაცხადა ადგილობრივმა მკვიდრმა კალუბამბარაიმ. ყვავილებითა და ბაფთებით შემკული ხარი მონასტრის წინ დაასვენეს. ხალხს მასთან მოჰქონდა ბაფთები, პირსახოცები და ფულის შეკვრები. კალუბამბარაის თქმით, რომ არა კორონავირუსის გამო გამოცხადებული კარანტინი, ხარის დასაფლავებაზე უფრო მეტი ადამიანი მივიდოდა და, შესაძლოა, ის გრანდიოზულ კარნავალშიც კი გადაზრდილიყო.

## მაღაზიის თანამშრომელმა სალაროსთან ფული იპოვა და პატრონს დაუბრუნა



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მაღაზიის თანამშრომელმა სალაროსთან 200 დოლარამდე თანხა იპოვა და გულმავიწყ პატრონს დაუბრუნა. ამის შესახებ ინფორმაცია ინსტაგრამში თვითმომსახურების ქსელის მაღაზიამ საკუთარ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა. აღნიშნული შემთხვევა რამდენიმე კვირის წინ მოხდა. მომხმარებელმა, სახელად ჯონმა, შეძენილი საქონლის ღირებულება გადაიხადა, გაურკვეველი მიზეზით ყურადღება გაეფანტა და ხურდა, 194 დოლარი, ადგილზე დარჩა. როდესაც მომხმარებელი წავიდა, მაღაზიის თანამშრომელმა კრისტინამ დავიწყებული ფული შენიშნა. იმის წყალობით, რომ ჯონს მუდმივი მომხმარებლისთვის განკუთვნილი ბარათი ჰქონდა, კრისტინამ მომხმარებელთა ბაზაში იპოვა და მისი ტელეფონის ნომერი ნახა.

მაღაზიის თანამშრომელმა ჯონს სახლში დაურეკა და აცნობა, რომ მას ფული დარჩა და მისი დაბრუნება სურდა. თავდაპირველად მამაკაცმა იფიქრა, რომ თაღლითებს სურდათ მისი მოტყუება, მაგრამ კრისტინასთან შეხვედრის შემდეგ მიხვდა, რომ ცდებოდა.

– მან არც კი იცოდა, რომ მაღაზიაში ფული დარჩა, – განმარტა ჯონის მეუღლე ბარბარამ, – ამ სტრესით სავსე ცხოვრებაში კრისტინას კეთილი საქციელი აღგვაფრთოვანებს ისე, როგორც არასდროს.

## მეთევზე ქალმა უიშვიათესი დიდი ზომის თევზი დაიჭირა



ამერიკის ფლორიდის შტატის კუნძულ კი-უესტზე რეკორდული ზომის იშვიათი სახეობის თევზი დაიჭირეს.

კეტრინ ვალილიმ ანკესით უზარმაზარი მრგვალი ტრახინოტი დაიჭირა, რომლის წონამ 9,53 კილოგრამი შეადგინა. ქალებს შორის ადრინდელი რეკორდი 1999 წელს დებრი ლოსის მიერ იყო დამყარებული და მის მიერ ანკესით დაჭერილი მრგვალი ტრახინოტის წონა 4,42 კილოგრამს შეადგენდა.

– უკვე შორიდანაც კი ნათელი იყო, რომ ეს თევზი მათზე გაცილებით დიდი იყო, რომელიც კი ადრე დამიჭერია, – განაცხადა მეთევზე ქალმა, – საკმაოდ დაძაბული ორთაბრძოლა გვქონდა, ვინაიდან ვხვდებოდი, რომ ეს რეკორდული თევზი იქნებოდა.

კაპიტან ბრენდონ კირთან ერთად, რომელიც პარტნიორის რანგში იყო წარმოდგენილი, ვალილი რეკორდის მოხსნას 2020 წლის დასაწყისიდან ცდილობდა.

მოსალოდნელია, რომ უახლოეს ხანში თევზჭერის საერთაშორისო ასოციაცია ამერიკელი ქალის მიღწევას აღიარებს.

## სილიკონის მკერდმა ქალი სიკვდილს გადაარჩინა



ქალის მკერდში ჩადგმულმა სილიკონის იმპლანტმა ტყვიის ტრაექტორიის შეცვლა მოახერხა და მისი მფლობელი დაღუპვას გადაარჩინა.

ინციდენტი კანადის პროვინცია ონტარიოში მოხდა. 30 წლის ქალი უცნობი მსროლელის მსხვერპლი გახდა. ის ქუჩაში მიდიოდა, როდესაც გასროლის ხმა გაიგონა და მარცხენა მკერდში ტკივილი და ცხელება იგრძნო. შოკურ მდგომარეობაში მყოფმა დაიხედა და სისხლი დაინახა.

თვითმხილველებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. დაშავებული უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა ქალი გასინჯეს და მარცხენა მკერდის ზედა ნაწილში ტყვიის პატარა ხვრელი აღმოაჩინეს. მარჯვენა მკერდის კანქვეშ კი ექიმებმა ტყვიის მსგავს ნივთს მიაგნეს. კანადელ ქალბატონს რენტგენის სურათი გადაუღეს, რომელმაც ექიმების ეჭვები დაადასტურა. როგორც გაირკვა, ტყვიამ ქალს ერთი ნეკნი გაუტეხა და მკერდის მარჯვენა გვერდით კედელში გაიჭედა.

კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ ქალს ფილტვის მცირე დაზიანება გამოუვლინა, თუმცა სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

საბოლოოდ ქირურგებმა ქალს ორივე დაზიანებული იმპლანტი ამოაცალეს და სმიტ ვენსონი 40-ს ტყვია ამოუღს. ექიმებმა დაწვრილებით შეისწავლეს კომპიუტერული ტომოგრაფია და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მას იმპლანტი რომ არ ჰქონოდა მკერდში ჩადგმული, ტყვია მკერდს გაივლიდა და დიდი ალბათობით გულს დააზიანებდა.

## მედძმამ ორთვიანი მუშაობის შემდეგ კოლეგას ხელი სთხოვა



ჩინეთის ხუბეის პროვინციის ქალაქ უხანში საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მომუშავე მედძმამ კოლეგას, რომელთან ერთად ორი თვე მუშაობდა კორონავირუსის ეპიდემიის დროს, ხელი სთხოვა.

22 წლის ხუ ჩჟიმინმა ხელში ყვავილების თაიგულით ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხელი სთხოვა თავის კოლეგა ცზენ ინინს. ეს მოხდა 15 აპრილს, კორონავირუსით დაავადებული ავადმყოფებისთვის საგანგებოდ აშენებული საავადმყოფოს დახურვის დღეს.

– შენ მე არა მხოლოდ მომწონხარ, მე შენ მიყვარხარ. ცოლად გამომყვები? – უთხრა ჩჟიმინმა შეყვარებულს საავადმყოფოს სხვა თანამშრომლების თანდასწრებით. ინინს თავდაპირველად გაუკვირდა, შემდეგ რამდენიმე წამით დაფიქრდა და ბოლოს თანხმობა უთხრა.

ჩჟიმინის თქმით, ინინი კორონავირუსით დაავადებული ადამიანების გადასარჩენად ოცდაოთხსაათიანი გვერდიგვერდ მუშაობის დროს შეუყვარდა. ქალის თქმით კი, ისინი პაციენტების სიცოცხლის გადასარჩენად ერთად იბრძოდნენ და ეპიდემიის ყველა სირთულის დაძლევა ერთად დგომით მოახერხეს.

## ხანძრის დროს დაკარგული ცხვარი პატრონთან შვიდი წლის შემდეგ დაბრუნდა



ავსტრალიის ტასმანიის შტატის სოფელ დანოლიში იპოვეს ცხვარი, რომელიც 2013 წელს ტყის ხანძრების დროს დაიკარგა.

ცხვარი სახელად პრიკლსი ფერმიდან შვიდი წლის წინ გაიქცა, როდესაც ტასმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ტყის ხანძრები მძვინვარებდა. 2020 წელს პატრონებმა გრძელბეწვიან ცხვარს მიაგნეს. ფერმერმა ელის გრეიმ განაცხადა, რომ მოუვლელი ცხოველი უზარმაზარ გაბურძგნულ ბურთულას დაემსგავსა.

– ის ჯანმრთელად გამოიყურება და თავს ბედნიერად გრძნობს იმის გამო, რომ სხვა თანამოძმეების გვერდით იმყოფება, – აღნიშნა ქალმა.

გრეიმ პრიკლსი იმ დროს შენიშნა, როდესაც თავისი ექვსი წლის შვილის დაბადების დღეს აღნიშნავდა. ოჯახი საკუთარ ფერმაში თვითიზოლაციაში იმყოფებოდა და ზეიმი ბარბექიუთი საძოვარზე მოაწყო.

– წყალსაცავის მეორე ნაპირზე ეს დიდი, თეთრი და გაბურძგნილი არსება შევნიშნეთ, – განაცხადა ფერმერმა ქალბატონმა. დაკარგული ცხვარი გრეის მეუღლემ დაიჭირა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქარბორბალას მიერ გატაცებული ატესტატი შემთხვევის ადგილიდან 50 კილომეტრში იპოვეს



ამერიკის ჯორჯიის შტატის მკვიდრის ქარბორბალას მიერ გატაცებული ატესტატი მისი სახლიდან 50 კილომეტრში იპოვეს.

კელვინ დიუკი აპსონის ოლქში სკოლის დამთავრების მოწმობას საკუთარი სახლის უკანა ეზოში მდებარე სამიდან ერთ-ერთ ფარდულში კოლოფში ინახავდა. ორშაბათ დილით ამ ადგილს ქარბორბალამ გადაუარა.

დიუკის სახლმა სტიქიას გაუძლო, თუმცა ფარდულები განადგურდა. მოგვიანებით კელვინმა თავისი მეგობრისგან მიიღო შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მისი ატესტატი მონროს ოლქში, დაკარგვის ადგილიდან 50 კილომეტრში იპოვეს.

საოცარია, მაგრამ ქარბორბალას შედეგად დიუკის სკოლის დამთავრების მოწმობა არ დაზიანებულა.

## კაილი ჯენერის ფოტომ უმაკიაჟოდ თაყვანისმცემლები გააოგნა



მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი და მეწარმე კაილი ჯენერი ქუჩაში ფეხშიშველი და უმაკიაჟოდ გამოვიდა და თაყვანისმცემლები გააოგნა.

სოციალურ ქსელში განთავსებულ კადრებში 22 წლის კაილი მანქანასთან ფეხშიშველი მიდის, ხელში კი ჩიფსების შეკვრა უჭირავს. სურათზე ჯენერს თმები უკან აქვს შეკრული და ბრენდ Amiri-ს სპორტული კოსტიუმი აცვია, რომელიც ტაი-დაის ტექნოლოგიითაა შეღებილი.

თაყვანისმცემლებმა ცნობადი სახე ვერ-ეიცნეს და საკუთარ კომენტარებში მისი გარეგნობა მასხრად აიგდეს.

– შეუძლებელია, ის ნამდვილად ის არის!! – დაწერა საკუთარ კომენტარში ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– ის ისე არ გამოიყურება, როგორსაც მივეჩვიეთ მის ცნობილ ფოტოსურათებზე, თანაც ქუჩაში ყოველგვარი წესების დარღვევით – ეგოისტურადაა გამოსული, – აღნიშნა მეორემ.

– აი ვიხილეთ მაკიაჟის ჯადოსნური ძალა, – დაწერა მესამემ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

# თორნიკე ბზიავა კვირაში ერთხელ მინიმალური ტრანსპორტის მოძრაობის მომხრეა



რეჟისორსა და მსახიობს თორნიკე ბზიავას მდგომარეობის დასტაბილურების შემდეგ კვირაში ერთი დღე ქალაქში მინიმალური ტრანსპორტის მოძრაობა სურს:

– ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ალბათ ბევრი ადამიანი დარწმუნდა, რამდენად დიდი ფასი აქვს უმანქანო თბილისს.

ყველაფრის მშვიდობიანად ჩავლის შემდეგ ვეცდებით, გავაკეთოთ პეტიცია, რომლის მოთხოვნაც იქნება – კვირაში ერთი დღე ქალაქი ყველაზე მინიმალური ტრანსპორტით ისარგებლებს, დაახლოებით, როგორც ახლა.

ეს ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ეკოლოგიისა და ასევე ნებისმიერი ადამიანის აზროვნების, დასვენებისა და საერთოდ ცხოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

რამდენიმედღიანი გამოკითხვის შედეგად 98% ადამიანებისა სიხარულს გამოთქვამს, თუ ასეთი რამ დასაშვები გახდა. ამას გარდა, ეს იქნება განსაკუთრებული მაგალითი ბევრი სხვა ქვეყნისთვისაც, რაც საერთო პოლიტიკისთვისაც კარგი იქნება!

ვფიქრობთ, რომ ეს იდეა გასაზრებელია.

# პატარა აკაკი წერეთლის როლის შემსრულებელი ომარ ჩიტაია გარდაიცვალა



ფილმში „აკაკის აკვანი“ პატარა აკაკი წერეთლის როლის შემსრულებელი, ჟურნალისტი და მომღერალი ომარ ჩიტაია გარდაიცვალა.

ინფორმაცია ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ გაავრცელა:

– კიდევ ერთი დიდებული ქართველი გამოაკლდა ჩვენ ქვეყანას. გარდაიცვალა შესანიშნავი ჟურნალისტი, მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, ყველა ქართველისათვის უსაყვარლესი ფილმის „აკაკის აკვანის“ უპირველესი გმირი, პატარა აკაკის როლის ბრწყინვალე შემსრულებელი ომარ ჩიტაია.

განუზომელია მისი ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის, ქართული სიმღერის განვითარებაში. მისი საოცარი თავმდაბლობა, მოკრძალება, ღირსეული მასწავლებლებისა და მამულიშვილების მიმართ გასაოცარი მოწიწება, პატივისცემის გრძნობა, ამაგის დაფასების უნარი მართლაც რომ სამაგალითოა მისი თანამედროვეების, ახლობლებისა და მეგობრებისათვის.

ძალზე სამწუხაროა, რომ შექმნილი ვითარების გამო ამ ჩუმ, უხმაურო და ღვაწლმოსილ კოლეგას გამოსამშვიდობებელი სიტყვაც ვერ ვუთხარით ამ საწუთროდან გაცილების ჟამს. ნათელში იყოს დიდებული კაცის, ომარ ჩიტაიას სული, მსუბუქი იყოს მისთვის საყვარელი ქართული მიწა!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


## განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

# შენი საჭმელი არავის გაუყო!

## გერმანია ფეხბურთს მკაცრი შეზღუდვებით გააგრძელებს

როგორც ცნობილია, უეფა კალენდრის 2 ვარიანტს ამუშავებს. პირველის მიხედვით, ეროვნული პირველობების დასრულების შემდეგ განახლდება ევროთასები, მეორის მიხედვით, ტურნირები პარალელურ რეჟიმში ჩატარდება.

უეფა კვლავ მოუწოდებს ყველა ასოციაციას, ყველა არსებული რესურსი გამოიყენოს ტურნირების ჩასამთავრებლად, თუმცა უეფა უშვებს იმის ალბათობასაც, რომ ეროვნული ჩემპიონატები აღარ განახლდეს. ამისთვის 2 მიზეზია საჭირო:

1. ქვეყნის მთავრობის აკრძალვა სპორტული ღონისძიებების გამართვაზე;
2. მძიმე ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც სეზონის განახლების შემთხვევაში კლუბებსა და ასოციაციებს ფინანსურად მძიმე დარტყმას მიაყენებს;

ამ შემთხვევაში, უეფა მომდევნო სეზონის ევროთასების მონაწილეებს მხოლოდ სპორტული პრინციპით გამოავლენს, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე, ევროთასების საგზურების მფლობელებს კონკრეტული ასოციაცია დაასახელებს.

უეფა უფლებას იტოვებს, მონაწილეების არასწორი პრინციპით გამოვლენის შემთხვევაში, ჩაერიოს. უეფა ასევე დასჯის იმ ასოციაციას, რომელიც ტურნირს, ზემოთ ჩამოთვლილი 2 მიზეზის გარდა, სხვა მიზეზით გააუქმებს.

პირველი მიზეზით ნიდერლანდები პირველი ქვეყანა გახდა, სადაც, კორონავირუსის პანდემიის გამო, საფეხბურთო სეზონი ვადაზე ადრე დასრულდა. გადაწყვეტილება ქვეყნის სამეფო საფეხბურთო კავშირმა მიიღო.

გადაწყდა, რომ ნიდერლანდებში მიმდინარე სეზონში ჩემპიონი არ გამოვლინდება, არც სატურნირო ცხრილის ფსკერზე მყოფი გუნდები გავარდებიან. ჩემპიონთა ლიგაზე აიაქსი და ალკმაარი ითამაშებენ, ევროპის ლიგაზე – ფეიენოორდი, პსვ და ტილბურგი.

ნიდერლანდების ფეხბურთის ფედერაცია მას შემდეგ გახდა იძულებული, ეს ნაბიჯი გადაედგა, რაც ნიდერლანდების მთავრობამ ქვეყნის ტერიტორიაზე პროფესიული საფეხბურთო ტურნირების ჩატარება 1 სექტემბრამდე აკრძალა.

სხვაგვარად იქნება საქმე გერმანიაში, სადაც ბუნდესლიგის განახლებას 9 მაისს გეგმავენ, თუმცა ეს იქნება სულ სხვა ფეხბურთი – გარდა იმისა, რომ გულშემატკივრებს შინიდან მოუწევთ თამაშების ნახვა, უფრო მეტად შეიცვლება ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელებისთვის, პერსონალისთვის, ავტობუსის მძღოლებისა და დაცვის თანამშრომლებისთვისაც კი.

ბუნდესლიგის ხელმძღვანელობამ ინსტრუქციების სია შეიმუშავა, რომლის შესრულებაც ყველასთვის სავალდებულო იქნება.

გერმანიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტ კრისტიან ზაიფერტის თქმით, ფეხბურთელები კორონავირუსზე სეზონის განახლებამდეც უნდა გაიტესტონ და განახლების შემდეგაც. და ეს მოხდება მინიმუმ კვირაში ერთხელ. საამისოდ, ბუნდესლიგას დაახლოებით 200.000 ტესტი დასჭირდება, რაც გერმანიაში არსებული ტესტების 0,4 პროცენტია. ბუნდესლიგის ბოსები 5 ლაბორატორიასთან არიან შეთანხმებულნი.

გერმანელებს ყველაფერი გაწერილი აქვთ: დაწყებული იმით, თუ როგორი რეჟიმი უნდა იყოს საწვრთნელ მოედანზე, დამთავრებული სტადიონზე შესაშვები ხალხის რაოდენობითა და წესით.

ამიერიდან, გერმანიაში, სანამ ვინმეს სტადიონზე შეუშვებენ, საფუძვლიანად შეამოწმებენ, რათა მოედანზე ინფიცირებული ფეხბურთელის ან მსაჯის მოხვედრა გამოირიცხოს. გერმანელების გამოთვლით, ყველა, ვინც მატჩის დღეს სტადიონზე უნდა შევიდეს, მათი რაოდენობა 322 ადამიანთან იტრიალებს. ყველა მათგანი ვალდებული იქნება დაამტკიცოს, რომ ბოლო 14 დღის განმავლობაში კორონავირუსის სიმპტომი არ ჰქონია და წარმოადგინოს ჩატარებული ტესტების შედეგები;

გასახდელები აღჭურვილი იქნება ჰიგიენური საგნებით და ფეხბურთელების შესვლის წინ მათ ჩაუტარდება დეზინფექცია;

სოციალური დისტანციის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კლუბებს სთხოვენ, გუნდები სტადიონზე რამდენიმე ავტობუსით მიიყვანონ, ფეხბურთელები და პერსონალი ერთმანეთისგან განაცალკევონ. თუ კლუბი ამას ვერ შეძლებს, მაშინ ავტობუსიდან პირბადის გარეშე არავის ჩამოუშვებენ;

ყველა ავტობუსი უნდა იყოს სტერილიზებული, დეზინფექცირებული. მასპინძელი გუნდის ფეხბურთელებს ურჩევენ, სტადიონზე თავიანთი მანქანებით მივიდნენ, მაგრამ, თუკი რამე მიზეზის გამო ორივე გუნდი სათამაშოდ ავტობუსით მიდის, მაშინ მათ მისვლათა შორის დიდი დროითი ინტერვალი უნდა დაიცვან;

ამის მიუხედავად, გუნდები გასახდელში სხვადასხვა მარშრუტით უნდა შევიდნენ და მათ შორის უნდა იყოს შეძლებისდაგვარად დიდი მანძილი;

სტადიონებს რეკომენდაციას უწევენ, გასახდელი სივრცე ისე გადააკეთონ, რომ ძირითადი შემადგენლობა, მეკარეები და სათადარიგოები სხვადასხვა ოთახში მოხვდნენ;

აუცილებელია, რომ გუნდებმა გასახდელებში რაც შეიძლება ცოტა ხანი დაჰყონ, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდური შეკრებებისთვის მათ სტადიონის ტერიტორიაზე უნდა გამოუყონ ყველაზე დიდი ოთახები;

გასახდელებში ფეხბურთელებს შეუძლიათ, სახლიდან მიიტანონ თავიანთი საჭმელი, ოღონდ არავის გაუყონ;

აგრეთვე უნდა ჰქონდეთ თავიანთი სახელებით მონიშნული წყლის ბოთლები. თუ რომელიმე ფეხბურთელს ტრენაჟორზე ვარჯიში დასჭირდება, მან უნდა ჩაიცვას ხელთათმანი და გაიკეთოს პირბადე. ვარჯიშამდე ტრენაჟორებს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია;

მასაჟის მაგიდები ერთმანეთს მაქსიმალურად უნდა დააშორონ, ხოლო ულტრაბგერითი აღჭურვილობები ყოველი გამოყენების შემდეგ გაწმინდონ;




ვინაიდან ვირუსი კარის სახელურზე რამდენიმე საათს ძლებს, ყველა ოთახის კარი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ღია;

ასეთივე სიმკაცრის რეგულაციები დაწესდება საწვრთნელ ბაზებზე, სადაც ფანების მისვლა აიკრძალება და დაიდგმება ხელის სადეზინფექციო დამატებითი საშუალებები;

ფეხბურთელებს გამოუცხადებენ, რომ მათი კონტროლი ამიერიდან არნახულად გამკაცრდება;

რაც შეეხება გასახდელიდან მოედანზე გასვლას:

გუნდებისთვის გასახდელიდან მოედანზე გასასვლელად უნდა მოეწყოს სხვადასხვა გვირაბი. ისინი მოთელვაზე უნდა გავიდნენ მცირე ჯგუფებად, რათა ერთდროულად ბევრი ადამიანი არ დაგროვდეს;

ბუცებსა და სხვა აღჭურვილობას მსაჯები გასახდელებში შეამოწმებენ და გუნდები მოედანზე (თამაშის წინ) სხვადასხვა დროს გავლენ;

რასაკვირველია, აღარ იქნება ფეხბურთელთა გამყოლი ბავშვები და თილისმები;

ფეხბურთელები აღარც მატჩისწინა ფოტოებს გადაიღებენ და არც ხელის ჩამოსართმევად დაუვლიან ერთმანეთს;

სათადარიგოთა სკამებზე მწვრთნელები და ფეხბურთელები დაიცავენ სოციალურ დისტანციას;

მწვრთნელების ტექნიკურ ზონას (სადაც ისინი დადიან) შეამცირებენ;

მწვრთნელის უკან იქნება დაგრძელებული სათადარიგოთა სკამი, სადაც ფეხბურთელები და პერსონალი ადგილების გამოტოვებით დასდებიან. სათადარიგოთა სკამმა, შესაძლოა, ტრიბუნაზეც გადაინაცვლოს;

მატჩის შემდეგ მაისურების გაცვლა აიკრძალება;

გუნდებმა მოედანი თავ-თავიანთი გვირაბით უნდა დატოვონ და მათი ავტობუსები სტადიონის ტერიტორიიდან სხვადასხვა დროს გავლენ;

ფეხბურთელები საშხაპეში უნდა შევიდნენ პატარა ჯგუფებად. მათ შორის მანძილი უნდა იყოს 2 მეტრი. სასურველია, საშხაპეში არსებობდეს კაბინები;

უმჯობესი იქნება, თუკი ფეხბურთელები იბანავებენ სასტუმროში ან შინ;

ჟურნალისტებისთვის ღია იქნება მხოლოდ პრეს-ლოჟა, მატჩის შემდგომ ინტერვიუებს აიღებენ ონლაინ. პრესკონფერენციებში მონაწილეობას მიიღებს ცოტა ადამიანი;

მიუხედავად ასეთი გამკაცრებული რეგულაციებისა, გერმანიის პოლიციის კავშირის ვიცეპრეზიდენტი იორგ რადეკი 9 მაისს ბუნდესლიგის განახლების წინააღმდეგია.

**იორგ რადეკი:**

– უპირველესად ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ კავშირი საფეხბურთო მატჩების პრინციპულად წინააღმდეგი არ არის. ისიც მესმის, რომ ბევრს ძველი თამაშების ყურება მობეზრდა, მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორ სიტუაციაში ვიმყოფებით. გერმანიის საფეხბურთო ლიგამ სეზონის განახლების გეგმა უნდა შეიმუშაოს, რადგან ჯერ ყველა ასპექტი გათვალისწინებული არ არის. სეზონის განახლებას დამანგრეველი შედეგები მოჰყვება. სტადიონზე ვითარების კონტროლირება შეიძლება, მიმდებარე ტერიტორიაზე – არა. პანდემიისას გულშემატკივრები სტადიონებთან არ უნდა შეიკრიბონ. ეს არა მარტო აკრძალული, არამედ უპასუხისმგებლოა. თუ ადგილი წესრიგის დარღვევას ექნება, პოლიცია საქმეში ჩაერევა.

ამასობაში კი მიონხენგლადბახის ბორუსიის ფანებმა დაბეჭდეს საკუთარი ბანერები, რომლებიც სტადიონის ტრიბუნებზე იქნებიან განლაგებულნი და მშობლიურ გუნდს „უგულშემატკივრებენ".

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შეყვარებულმა წყვილმა საარსებო სახსრები დაკარგა და საცხოვრებლად ტყეში გადავიდა

ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ბოლტონის მკვიდრი წყვილი კორონავირუსის ინფექციის აფეთქების გამო საარსებო სახსრების გარეშე დარჩა. მათ სამსახური დაკარგეს და საცხოვრებლად ტყეს მიაშურეს.

37 წლის ეშლი ჰანსა და 26 წლის კეტი ბლენდს ბინა ჰქონდათ დაქირავებული. ეშლი მღებავად და დეკორატორად მუშაობდა და კორონავირუსის ინფექციის გავრცელების შემდეგ უმუშევარი დარჩა.



როდესაც შეყვარებულებმა ბინის ქირის ფულის გადახდა ვეღარ შეძლეს, სახლის პატრონმა მათ გასაღები ჩამოართვა და საღამომდე ბინის დაცლა მოსთხოვა. კეტიმ და ეშლიმ გადაწყვიტეს, კარავი შეეძინათ და საცხოვრებლად ტყეში წასულიყვნენ.

– ცოტა ფული მქონდა, რომელიც ხელფასიდან შემომრჩა და ბოლტონის მახლობლად ტყეში კარავში დავიწყეთ ცხოვრება. ჩვენ არ მოვიხმართ ნარკოტიკებს, არც ალკოჰოლიკები ვართ, უბრალოდ, ტყეში ვცხოვრობთ, მძიმე დროებაა და საჭმელიც არ გვაქვს, – განაცხადა ეშლიმ.

ისინი რივინგსტონის ტყეში დასახლდნენ, ბოლტონის ცენტრიდან ცხრა კილომეტრში. წყვილს რეგულარულად ფეხით უწევს ქალაქში ჩასვლა საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნების საშოვნელად. ერთ-ერთი ასეთი „გასეირნების" შემდეგ მათ აღმოაჩინეს, რომ ვიღაცამ მათი კარავი გაჭრა და თითქმის მთელი ტანსაცმელი მოიპარა.

– ფაქტობრივად, მხოლოდ ის ტანსაცმელი დამრჩა, რომელიც მაცვია. ეს საშინელებაა. ჩვენ მეორადებში მოსვლაც კი არ შეგვიძლია და იმის თხოვნა, რაც მათ არ სჭირდებათ, ვინაიდან ყველა მაღაზია დაკეტილია, – განაცხადა ქალმა. ამ შემთხვევის შემდეგ წყვილი ცდილობს, ყველა საჭირო ნივთი თან ატაროს, ეს კი ძნელია, ვინაიდან მათ ნორმალური ზურგჩანთაც კი არ გააჩნიათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## საქართველო უმწვრთნელოდ არის, ფედერაცია ვაისს ელაპარაკება



საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს სექტემბერში ბელარუსთან რამდენიმეჯერ გადადებული მატჩის ჩატარება უწევს. ამ მატჩის მნიშვნელობაზე ბევრს არაფერს ვიტყვით – ყველასთვის ყველაფერი ცნობილია.

უცნობია მხოლოდ ის, თუ ვინ გაიყვანს ჩვენს ეროვნულ გუნდს ბელარუსებთან სათამაშოდ. საქმე ის არის, რომ ვლადიმირ ვაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ამოეწურა. სფფ-ს პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა სლოვაკი სპეციალისტის კონტრაქტზე კომენტარი გააკეთა.

**ლევან კობიაშვილი:**

– ამ წამს საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს, რადგან ვლადიმირ ვაისს მარტის ბოლოს კონტრაქტი ამოეწურა და ოფიციალური დოკუმენტებით ის ახლა ნაკრების თავკაცი არ არის. ჩვენ გვინდა, რომ ვაისი კვლავ ნაკრების მწვრთნელი იყოს და მისი პოზიციაც ცნობილია, მაგრამ არ არის 100%-იანი გარანტია იმისა, რომ ვაისი ჩვენი გუნდის მწვრთნელი იქნება, რადგან ოფიციალური ხელშეკრულება არ გაუფორმებია.

იმის გათვალისწინებით, რომ სექტემბრამდე საქართველოს თამაში არ უწევს, ხელშეკრულების გაფორმება იოლი არ არის. ფინანსური კუთხეც უნდა განვიხილოთ, რათა არ ვიზარალოთ. ამ ყველაფერს პოზიტიურად ვუყურებ და იმედი მაქვს, მალე ვაისი ოფიციალურად კვლავ ჩვენი ნაკრების მწვრთნელი იქნება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 2. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. გაეროს გენერალური მდივანი; 4. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 5. შენობის ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება; 8. ემილ ზოლას რომანი; 9. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 10. ფრინველის საჭერი მახე; 12. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 13. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 15. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად.

**თარაზულად:** 1. ბუს მეორე სახელწოდება; 6. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 7. გზისპირა პატარა რესტორანი ესპანეთში; 10. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 11. ჩინური ფინიკი; 13. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ყოფილი წევრი; 14. მტაცებელი ფრინველი; 16. უძველესი ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 17. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 18. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტრაქტი; 2. ცედრა; 3. ნასა; 5. ჯილეხი; 6. ბრიჯი; 7. პეტარდა; 11. ისინდი; 13. პრიკაზი; 14. ჭინკა; 15. კრანახა; 16. დასლერი; 17. ოქსინო; 19. ატაშე; 20. ჯიქი.

**თარაზულად:** 1. ტიციანი; 4. თარჯი; 8. სტეკი; 9. ლუდი; 10. ქორქია; 12. თავთუხი; 14. ჭონა; 15. კაპიტალი; 16. დენთი; 18. გინზა; 21. სირია; 22. რეაქცია; 23. შინშილა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბიტი; 2. ისე; 3. ტრიპიტაკა; 4. ჰინდი; 5. ლებარდე; 8. სურა; 9. კასტელი; 10. პარასოლი; 12. ტრაკაი; 13. ლხინი; 15. ორერა.

**თარაზულად:** 1. ბაღდადი; 6. ქრისტინე; 7. ტოსკა; 10. პეპსი; 11. ბროლა; 13. ლიტვა; 14. ბროსე; 15. კები; 17. ადიგენი; 18. მახათა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 3.2027 |
| ევრო | 3.4551 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.9537 |
| 100 რუსული რუბლი | 4.3031 |

## ამინდის პროგნოზი 27 აპრილისთვის




## „მთავარი არხი“ ახალ შოუს იწყებს




„მთავარი არხი“ სახლში დარჩენილ მაყურებლებს სულ მალე ახალ შოუს შესთავაზებს.

მისი ხელმძღვანელი დავით იმედაშვილი აცხადებს, რომ ახალი რეალითი შოუ ყველა თაობის მაყურებელზე იქნება გათვლილი:

— მე, პირადად, ცოტა მეუხერხულება დარჩით სახლში მოწოდება! ამიტომ ამას მოკრძალებულად გავაკეთებ, „როგორ დავრჩეთ სახლში“ — ახალი რეალითი შოუ მთავარ არხზე.

## გიგა კვენეტაძეს სტუდიის ჩინეთში გადატანა სურს



მომღერალსა და კომპოზიტორს გიგა კვენეტაძეს თავისი სტუდიის რუსეთიდან ჩინეთში გადატანა სურს, რადგან კორონავირუსთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა და სახლში ჯდომამ დაღალა:

— გადავწყვიტე, ჩინეთში გადავიტანო სტუდია და ჩინურ შოუბიზნესში გავიდგა ფესვები, რა თქმა უნდა, იმ დრომდე, სანამ დანარჩენი მსოფლიო იდიოტიზმით არის დაკავებული. დავიღალე!

## ალექსანდრე ლორთქიფანიძე: „მივხვდი, რომ ქართველების ხასიათის გასაღები ჩვენივე ანბანშია“



აცხადებს გადაცემა „წიგნების თაროს“ წამყვანი ალექსანდრე ლორთქიფანიძე და თავის განცხადებას ასე ხსნის:

— მე მივხვდი, რომ ქართველების ხასიათის გასაღები ჩვენივე ანბანშია:

ყველა საქმეს ვიწყებთ დიდი მონდომებით და დალაგებულად:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ

სადღაც შუა ნაწილის მერე უკვე ვიღლებით, ურთიერთობები გვიფუჭდება, საქმეს ვირთულებთ, სადღაც არასაჭირო ადგილებში ვეკვეხებით, ვურევთ, ვხლართავთ:

ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ

და ბოლოს, ძალიან რომ დავიღლებით ამ აბურდულობითა და გაურკვევლობით, ერთი მაგ საქმის დედაცო, ვიძახით, ხელს ავიქნევთ და:

ჰაეეეე!

## თინათინ მღვდლიაშვილს ლექსი მოჰპარეს



პოეტ თინათინ მღვდლიაშვილს მისი ცნობილი ლექსი „ვაინახები“ მოჰპარეს და დაუმახინჯეს.

ინფორმაცია პოეტმა თავად გაავრცელა:

— მეგობრები, ნახეთ ქურდობის, პლაგიატობისა და თავხედობის სანიმუშო მაგალითი. ნაძირალას მიერ დასახიჩრებული ჩემი საუკეთესო ლექსი „ვაინახები“! ხელებს წავამტვრევდი ძირში ამ თავხედს, ამ ქურდს! ლექსი ვითომ „გააქართულა“, ვითომ ჩემზე მაგარი პატრიოტია, ჩემზე მაგარი ქართველია!

გთხოვთ, დაიმახსოვრეთ ამ ქურდბაცაცის გვერდი! უნდა მოვთხოვო პასუხი! თან ლექსი დაუმახინჯებია, თან ქებას იფერებს, თან „სპორტსმენია“!.. რა არის ეს?! გიჟპოეტები და ვირთხები ვერ მოვიშორე! პლაგიატი ამხილა ეკა შეთეკაურმა!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

ერთი სტუდენტი მეორეს ეკითხება:

— რას კითხულობ?

— კვანტურ მექანიკას.

— და წიგნი თავდაყირა რატომ გიჭირავს?

— რა მნიშვნელობა აქვს...

•••

ქალი მეზობელს ეკითხება:

— ქალო, შენს ქმარს რა აყვირებს ასე გამწარებით?

— კბილები ამოსდის!

— რა კბილები? 65 წლისაა...

— გუშინ პროთეზი გადაეყლაპა და...

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

— დიდი ხანია, თვითიზოლაციაში ხართ?

— ასე, მეხუთე ყუთი ლუდი იქნება...

•••

მთავრობის განცხადება:

— ყველა, ვინც ერთი თვე თვითიზოლაციაში დარღვევების გარეშე იცხოვრა, საჩუქრად კიდევ ერთ თვეს მიიღებს!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

— როდესაც ერთმანეთს შევხვდით, ჩემი ცოლად მოყვანა ვინ გირჩია?

— არ მახსოვს, მტრების მეტი რა მყავს...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სოლსკიაერი: „კარანტინამდე კარგ ფორმაში ვიყავით“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის სეზონი ცუდ დროს შეწყდა, რადგან ისინი თითქმის ოპტიმალურ ფორმაში იყვნენ.

სოლსკიაერის თქმით, თავიდან ფორმაში შესვლა იოლი არ იქნება:

— სამწუხაროა, რომ სეზონი დროებით შეჩერდა, რადგან ჩვენთვის ეს კარგი პერიოდი იყო, მაგრამ, ვერაფერს ვიზამთ, რადგან ასეა საჭირო. როდესაც ფეხბურთი განახლდება, ოპტიმალურ ფორმაში შესვლა გაგვიჭირდება, თუმცა ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

## დუშან ტადიჩი: „ჩემპიონობა წაგვართვეს“




აიაქსის კაპიტანმა დუშან ტადიჩმა ჰოლანდიის ჩემპიონატის ანულირებაზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ეს უსამართლო გადაწყვეტილება იყო.

ტადიჩის აზრით, ჩემპიონობა აიაქსისთვის უნდა მიენიჭებინათ:

— არ მესმის, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღო. ჩვენ ლიდერები ვიყავით და ჩემპიონობა ჩვენთვის უნდა მიენიჭებინათ. ეს უსამართლობაა და აიაქსმა ასეთი გადაწყვეტილება უნდა გააპროტესტოს. ჩემპიონობა წაგვართვეს.

## საფრანგეთში სეზონის განახლებას ივნისში აპირებენ

საფრანგეთის საფეხბურთო ფედერაციამ გადაწყვეტილება მიიღო, რომლის მიხედვითაც, საფრანგეთის ჩემპიონატი ივნისის შუა რიცხვებში უნდა განახლდეს, ასევე ივნისში ჩატარდეს საფრანგეთის თასის ფინალიც, თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით იქნება, მაგრამ ოფიციალური გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებული არ არის.




საფრანგეთში ამჟამად კორონავირუსით დაინფიცირებულთა რიცხვმა შედარებით იკლო, თუმცა ქვეყანაში კვლავ საგანგებო მდგომარეობაა, ისევე, როგორც ევროპის ბევრ სხვა სახელმწიფოში.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მიშო სულუხია კულტურისადმი უყურადღებობით უკმაყოფილოა

მომღერალი მიშო სულუხია კულტურისა და ხელოვნების მიმართ მთავრობის მიერ გამოჩენილი უყურადღებობით უკმაყოფილოა.

მან საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ ეკონომიკურ პროგრამაში მისი და მისი კოლეგებისთვის საჭირო საკითხები ვერ აღმოაჩინა:

— საერთოდ არაფერია ნათქვამი სეგმენტზე, რომელთათვისაც პირდაპირ ხალხმრავალი ან საზოგადოების თავშეყრის ეპიცენტრებია სამუშაო არეალი და რომელიც პირველი აიკრძალა ქვეყანაში, თან გაურკვეველი დროით. ყველაფერი რომც აღდგეს, საკონცერტო განწყობა და, განწყობას რომ თავი დავანებოთ, მისი პრაქტიკაში მოყვანა როდის გახდება შესაძლებელი, არავინ იცის.



არ დაგვავიწყდეს, რომ ხელოვნებამ და კულტურამ გადაატანინა თავისი ზურგით მთელ ქვეყანას ყველაზე კრიზისული მომენტები. კულტურა აძლიერებდა და ქმნიდა ოპტიმიზმის ნაპერწკლებს ადამიანების თვალებში და იწვევდა, შესაძლოა, დროებით, მაგრამ მაინც ბედნიერების ღიმილს... და ამ ადამიანებს ისევე ქვეყნის ეკონომიკის გამო არასდროს ჰქონიათ შესაფერისი ფინანსური დაფასება. აქედან გამომდინარე, მათ არც ამ მომენტისთვის გააჩნიათ დანაზოგები და ის რესურსები, რომლითაც თავს გადაირჩენენ მომდევნო თვეების განმავლობაში. ამიტომ დროა, ქვეყნის ეკონომიკამ ამ ეპოქაში მაინც შეძლოს და მკვეთრად დაუჭიროს მხარი ამ ადამიანებს, რათა არ ვიხილოთ გამათხოვრებული, მშიერი, გაზ და შუქგამორთული და მარტოდ დარჩენილი ხელოვანები...

ყველამ თავისი წილი თქვას. მეც ვიტყვი მათზე, ვის რეალობასაც ვხედავ:

ვაკვირდები და კუ.ის წელვასთან ერთად მიმდინარეობს დროის წელვა ქვეყანაში. შესაძლოა, მე მქონდეს მოვლენების სწრაფად აღქმისა და შემდეგ ეტაპზე გადასვლის უცხო ნიჭი, მაგრამ აშკარად ასეა.

ტელევიზიები: უბრალოდ, რა მოიფიქრონ, აღარ იციან. ამოიწურა ფანტაზია ერთისა და იმავეს ტკეპნით, თუ ტექსტუალურად და თუ ვიზუალურად.

ექიმები: უკვე ზრდილობისა და პასუხისმგებლობის გამო აკეთებენ განმარტებას, ყველა რეკომენდაცია და მითითება გაჟღერებულია დედამიწაზეც და საქართველოშიც და პაციენტების მენსტრუალური ციკლი მართლა არ გვაინტერესებს, ზოგიერთი ჟურნალისტის გასაგონად.

მთავრობა: ახლა რომ დადე ანტიკრიზისული გეგმა, როცა ქვეყანაში სულ რამდენიმე კაციღა დარჩა გამოსაჯანმრთელებელი და ვერც ერთ გეგმაში ვერ მოვყევით ვერც მე და ვერც ჩემ ირგვლივ ვერც ერთი ნაცნობი, რა მაფიაა?

შენ, შვედეთო, გაგახარებს ალაჰი, შენს მაცხოვრებელს ხელკეტებით ცემა რომ არ სჭირდება დისტანციისა და წესრიგის დასაცავად. ვააჰ, ტრა.ში ვართ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 27 აპრილისთვის



**ვერძი** — ახლობლებთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნებაში ტრადიციების დაცვის უნარი დაგეხმარებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** — საოჯახო საქმეებს ვერ აუდიხართ. სამომავლოდ ნურაფერს გადადებთ. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ტყუპები** — მოუგვარებელი საყოფაცხოვრებო პრობლემები განერვიულებთ. ნუ დაწვრილმანდებით. ემოციები მოთოკეთ. **კირჩხიბი** — ფიზიკურადაც და მორალურადაც მშვენიერ ფორმაში ხართ. დღეს, შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს. **ლომი** — ოჯახის წევრებთან ურთიერთობას აგვარებთ. მთავარია, შინაგანი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **ქალწული** — ეცადეთ, შინაურებთან სკანდალი თავიდან აიცილოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **სასწორი** — საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. ყველა დაწყებული საქმე დღესვე დაამთავრეთ. კარგი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ წასასვლელად. **ღრიანკალი** — მრავალი თქვენგანი საოცარ შორსმჭვრეტელობასა და მახვილგონიერებას გამოავლენთ, რაც თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. **მშვილდოსანი** — ერიდეთ ახალ ნაცნობობას, რომანტიკულ შეხვედრებს. იმედი გაგიცრუვდებათ. **თხის რქა** — გადადებული საქმე ეშმაკისააო. ნუ იზარმაცებთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **მერწყული** — მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. **თევზები** — საორგანიზაციო საკითხების მოგვარება არ გაგიჭირდებათ. თანამოაზრეები გვერდში გიდგანან. სიზმარი, სავარაუდოდ, აგიხდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 2. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 3. დიდგვაროვანთა ტიტული ეგვიპტესა და ოსმალეთში; 5. მეფის მრჩეველი; 6. კუთხე საქართველოში; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 11. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 13. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 14. პურეული მცენარე; 15. კონდრატე თათარაშვილის რომანი; 16. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. მდინარის, გზატკეცილის ქვეშ გაყვანილი წყლის გამტარი მილი; 19. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 20. ნავსადგური საქართველოში.

**თარაზულად:** 1. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 4. საჭმელი სოკო; 8. სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვების ადგილი; 9. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 12. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 14. მდინარე საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 15. მთავრობის წევრი; 16. ფრანგი მოდელიერი; 18. ჩქართემპიანი ჩეხური ცეკვა; 21. უბანი თბილისში; 22. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 23. თვითმფრინავის ან გემის დაქირავება გარკვეული დროით და პირობებით.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

